ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულების მე-4
სემესტრის სტუდენტის

მარიამ ბეგიაშვილის

სამაგისტროს ნაშრომი
თემაზე:

გაუფრთხილებლობის ფსიქოლოგიური ასპექტები
(Psychological Aspects of Negligence)

ხელმძღვანელი: პროფესორი, სამართლის დოქტორი

მაია ივანიძე

თბილისი
2019 წელი

სარჩევი

შესავალი 3

თავი I. გაუფრთხილებლობის საკანონმდებლო რეგულაცია და მისი არსი 5

1.1 გაუფრთხილებლობის საკანონმდებლო რეგულაცია და მისი სახეები 6

1.2 გაუფრთხილებლობის და არაპირდაპირი განზრახვის ურთიერთმიმართება და მასთან დაკავშირებული თეორიები 10

თავი II. ქმედებისა და ქცევის ურთიერთმიმართება და ქცევასთან დაკავშირებული თეორიები 15

2.1. ქმედების სისხლისსამართლებრივი და ფსიქოლოგიური ასპექტები 17

2.2 ქცევასთან დაკავშირებული თეორიების მიმოხილვა 18

2.3 ქმედებისა და ქცევის ურთიერთმიმართება გაუფრთხილებლობასთან 22

თავი III. გაუფრთხილებლობით დანაშაულში გადაწყვეტილების მიღების და არჩევანის პროცესის მნიშვნელობა 23

3.1 გადაწყვეტილებათა ფორმირება 24

3.2 არჩევანის ფსიქოლოგია 26

3.3. ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს არჩევანისა და გადაწყვეტილების პროცესზე 28

თავი IV. მოტივაცია და განწყობის მნიშვნელობა გაუფრთხილებლობასთან მიმართებით 36

4.1 ქმედებისა და ქცევის მოტივაცია 36

4.2. განწყობის ასპექტები 42

V. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გაუფრთხილებლობით დანაშაულთან დაკავშირებით 47

5.1. გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენისას სასჯელის დანიშვნის კრიტერიუმები 48

5.2. გაუფრთხილებლობითი დანაშაულის სტატისტიკა 53

VI. დასკვნა 55

ბიბლიოგრაფია: 60

აბრევიატურა

გვ. - გვერდი

ე.ი - ესე იგი

თბ. - თბილისი

იხ. - იხილეთ

დასახ. - დასახელებული

ნაშრ. - ნაშრომი

მაგ. - მაგალითად

რედ. - რედაქტორი

ავტ. - ავტორი

ტ. - ტომი

ა.შ. - ასე შემდეგ

სხვ. - სხვა

შესავალი

„დანაშაულებრივი ქმედება, უპირველეს ყოვლისა, იმ ობიექტური პროცესების მხრივ განიხილება, რომლებიც პირის ნებით იქნა გამოწვეული. ასეთ დროს მნიშვნელოვანია პირის ნებელობით ქცევასა და დამდგარ შედეგს შორის არსებული კავშირის დადგენა. დანაშაულებრივი ქმედება მოქმედი პირის ნების შინაარსის მიხედვითაც განიხილება. აქ კი ის პროცესები იგულისხმება, რომლებიც პირის ფსიქიკაში მიმდინარეობს. დანაშაულის სუბიექტური მხარის შინაარსი და მნიშვნელობა ზოგადად, ფსიქიკის ისეთი ელემენტების ანალიზის საფუძველზე დგინდება, როგორიცაა ადამიანის აზრები, გრძნობები, განზრახვა, ნებელობა. დანაშაულის სუბიექტური მხარის შემადგენელი ნიშანი თავისებურად ასახავს დანაშაულის ფსიქიკურ შინაარსს. როგორც განზრახი, ისე გაუფრთხილებლობითი ბრალის განსაზღვრისას სათვალავში მიიღება ფსიქიკის ორი ელემენტი - ინტელექტუალური და ნებელობითი.“[1]

წინარე ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს ქცევის ძირითადი ფსიქოლოგიური ასპექტების გამოკვეთა, მათი სამართლებრივი ბუნების გათვალისწინებით, სისხლისსამართლებრივ გაუფრთხილებლობასთან იდენტიფიცირება და ამ გზით გაუფრთხილებლობის ფსიქოლოგიური ასპექტების დადგენა. ნაშრომში გაუფრთხილებლობის ფსიქოლოგიური ასპექტები ქცევის დახასიათების ფარგლებშია განხილული. მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომის სახელწოდებაა „გაუფრთხილებლობის ფსიქოლოგიური ასპექტები“, გვერდს ვერ ავუვლით განზრახვასა და განზრახი ქცევის ფსიქოლოგიურ ასპექტებს, რადგან, არაპირდაპირ განზრახვასა და თვითიმედოვნებას შორის საკმაოდ მცირე განსხვავება არსებობს. ამასთან, იმ ფსიქოლოგიური ასპექტების განხილვა, რაც ზოგადად ქცევას ახასიათებს, ძალზედ საინტერესოა როგორც განზრახვის, ისე გაუფრთხილებლობის ნაწილში. საინტერესოა ის ფსიქოლოგიური ბარიერები, რომლებიც ქცევის და მისი შემადგენლების განმარტებისას, მიგვითითებენ სისხლისსამართლებრივ განზრახ ქმედებასა და სისხლისსამართლებრივ გაუფრთხილებლობით ქმედებას შორის ურთიერთმიმართებაზე. სწორედ ამ და სხვა არგუმენტების მხედველობაში მიღებით, კვლევისას საუბარია ასევე იმ ფსიქოლოგიურ ფაქტორებზეც, რომლებიც ახასიათებს გაუფრთხილებლობას და მის ქცევაში განხორციელებას განაპირობებს.

[1] სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ: გ. ტყეშელიაძე, გ.ნაჭყებია., თბ. 2004, გვ. 122.

კვლევისას გამოყენებულია ფორმალურ-ლოგიკური, დოგმატური და სხვა მეთოდები.

თემა შედგება შესავლის, ხუთი თავისა და დასკვნისაგან.

პირველ თავში განხილულია გაუფრთხილებლობის საკანონმდებლო დეფინიცია, განმარტებულია გაუფრთხილებლობის სახეები. ასევე, საუბარია გაუფრთხილებლობისა და არაპირდაპირი განზრახვის ურთიერთმიმართებასა და მასთან დაკავშირებულ თეორიებზე.

მეორე თავში განხილულია ქმედებასა და ქცევასთან დაკავშირებული თეორიები, ძირითადად საუბარია განპირობებული ქცევის თეორიასა და დაგეგმილი ქცევის თეორიაზე, მათ შემადგენელ ელემენტებზე, ამ ელემენტების თავისებურებებსა და ურთიერთკავშირზე.

მესამე თავი ეძღვნება არჩევანის პროცესს, გადაწყვეტილების ფორმირებასა და არჩევანის ფსიქოლოგიას. საუბარია პერსპექტივათა შეფასებაზე და იმ ფაქტორებზე, რომლებიც ზემოქმედებენ არჩევანის გაკეთებასა და გადაწყვეტილების მიღებაზე (მაგ: ემოცია, ინსტიქტი და სხვ.).

მეოთხე თავში განხილულია ქცევის მოტივაცია და მისი შემადგენელი ფაქტორები. ასევე, აღნიშნული თავი დათმობილი აქვს მოლოდინის, მოსალოდნელობისა და განწყობის ასპექტებს ქცევასთან მიმართებით.

მეხუთე თავში საუბარია გაუფრთხილებლობითი დანაშაულისთვის სასჯელის დანიშვნის საკანონმდებლო რეგულაციასა და ზოგად კრიტერიუმებზე. ამასთან, წარმოდგენილია სასამართლო პრაქტიკის ანალიზი და საქართველოში არსებული სტატისტიკური მდგომარეობა გაუფრთხილებლობით დანაშაულებთან მიმართებით.

ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ბიბლიოგრაფიისა და საკანონმდებლო მასალის ნუსხა.

თავი I. გაუფრთხილებლობის საკანონმდებლო რეგულაცია და მისი არსი

„გაუფრთხილებლობა ბრალის განსაკუთრებული, სპეციფიკური ფორმაა. გაუფრთხილებლობით შეიძლება ჩადენილ იქნეს ის დანაშაული, რომელიც მატერიალურ შემადგენლობას შეიცავს, ე.ი დანაშაული, რომლის ობიექტური მხარე შეიცავს კანონით გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო შედეგს.“[2] „საყურადღებოა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის დებულება, რომლის თანახმადაც გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დანაშაულად, თუ ამის შესახებ სპეციალურადაა მითითებული კერძო ნაწილის მუხლში. „თუ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენის დასჯადობა პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, მაშინ ასეთი ქმედება არ შეიძლება დაისაჯოს სისხლის სამართლის წესით.“[3]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „გაუფრთხილებლობით დანაშაულად ითვლება ქმედება, რომელიც ჩადენილია თვითიმედოვნებით ან დაუდევრობით.“[4] ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად: „ქმედება თვითიმედოვნებითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა.“[5] ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად: „ქმედება დაუდევრობითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდეც.“[6] როგორც ვხედავთ, სუბიექტის შინაგანი დამოკიდებულება გაუფრთხილებლობით ბრალთან ორი ფორმით ხასიათდება - თვითიმედოვნებითა და დაუდევრობით. „გაუფრთხილებლობა არის სამართლებივი შეფასება იმისა, რომ პირმა დაარღვია ქცევის სტანდარტი და

---

[2] ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2007, გვ.135.

[3] ტურავა მ,. სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა (მეცხრე გამოცემა), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013, გვ. 247.

[4] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლი (2019 წლის 08 მაისის მდგომარეობით).

[5] იქვე, მუხლი 10.

[6] იქვე, მუხლი 10.

არ შეასრულა ის, რაც მოეთხოვებოდა."[7] „წინდაუხედაობა (თვითიმედოვნება) და დაუდევრობა გაუფრთხილებლობის ორი სხვადასხვა სახეა. წინდაუხედაობა გაუფრთხილებლობის უფრო მძიმე შემთხვევაა და ამიტომ უფრო მეტად გასაკიცხია, ვიდრე დაუდევრობა. ამის შესაბამისად, წინასწარმა გამოძიებამ და სასამართლომ გაუფრთხილებლობის ყველა შემთხვევაში ნათლად უნდა გამოკვეთოს, წინდაუხედაობით არის გამოწვეული შედეგი თუ დაუდევრობით. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს სასჯელის განსაზღვრისათვის."[8] ამასთან, გაუფრთხილებელ დანაშაულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ვისაუბროთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლთან მიმართებაში, რომელიც ჩვენ გვაძლევს თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული განზრახი დანაშაულის ზოგად საკანონმდებლო კონსტრუქციას. ასეთ შემთვევაში მოცემული საკანონმდებლო კონსტრუქციის მთავარი თავისებურება და მისი სირთულე გამოიხატება იმაში, რომ ჩვენ სახეზე გვაქვს ისეთი შემადგენლობა, რომელიც მოიცავს ორ დამთავრებულ დანაშაულს. მოცემულ ვითარებაში ხსენებული ორი დანაშულიდან ერთი აუცილებლად არის განზრახი, ხოლო მეორე კი არის გაუფრთხილებელი. განსახილველი საკანონმდებლო კონსტრუქციებისათვის დამახასიათებელია ის, რომ ძირითადი ქმედება, კონკრეტული უმართლობის მარტივი შემადგენლობა განზრახ არის ჩადენილი, ხოლო მის დამამძიმებელ გარემოებებში კი გატანილია თანამდევი შედეგი, რომელიც გაუფრთხილებლობითაა განხორციელებული.

1.1 გაუფრთხილებლობის საკანონმდებლო რეგულაცია და მისი სახეები

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს გაუფრთხილებლობის ორ სახეს - თვითიმედოვნებასა და დაუდევრობას. „დანაშაულებრივი თვითიმედოვნება არსებობს მხოლოდ მაშინ, როცა პირის ვარაუდი, რომ განსაზღვრული გარემოების წყალობით საზოგადოებრივად საშიში შედეგი თავიდან იქნება აცილებული,

[7] წიქარიშვილი გ., სამაგისტრო ნაშრომი თემაზე „გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის სისტემა და ცალკეულ ელემენტთა გადანაწილების პრობლემები", თბილისი, 2017; იხ., <http://library.court.ge/upload/89302017-08-11.pdf> (29.06.2019).

[8] გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება (2004 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით) პირველი წიგნი, თბილისი, 2005 წ., გვ. 119.

დაუსაბუთებელ, ზერელე ხასიათს ატარებს. პირი მიუტევებელ შეცდომას უშვებს მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში, გადაჭარებულად აფასებს დანაშაულებრივი შედეგის ხელისშემშლელ გარემოებებს.“[9] „თვითიმედოვნება ეს არის წინდახედულობის ნორმით დადგენილი აკრძალვის გაცნობიერებული (შეგნებული) დარღვევა. ეს აკრძალვა მოცემულია არა მარტო პოზიტიური სამართლის ნორმებში, არამედ აგრეთვე „კულტურის ნორმებში“.“[10] „თვითიმედოვნების ნებელობითი მხარე გამოიხატება იმაში, რომ პირს არ სურს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა, უფრო მეტიც, ცდილობს არ დაუშვას იგი რეალურად არსებული ფაქტორების (ძალების) დახმარებით, მაგრამ მისი იმედი უსაფუძვლო აღმოჩნდება.“[11] „თვითიმედოვნების დროს პირმა იცის, რომ ახორციელებს დასაძრახ ქმედებას, რომელიც აკრძალულია წინდახედულობის ნორმით და თავისი მოქმედებით ეწინააღმდეგება სოციალური თანაცხოვრების კულტურის ნორმებს. ასევე, მან იცის, რომ მიუხედავად ქმედების გასაკიცხაობისა ზოგადად, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა აბსოლიტურად გამორიცხულია, მაგრამ პირის დარწმუნებულობა იმის შესახებ, რომ შედეგი არ დადგება, არის უსაფუძვლო. იმ შემთხვევაში კი როცა პირი უშვებს შედეგის დადგომის შესაძლებლობას, სახეზეა არა თვითიმედოვნება, არამედ არაპირდაპირი განზრახვა. ამ უკანასკნელი შემთხვევის დროს პირი უშვებს, რომ შედეგი ან დადგება ან არა.“[12]

დაუდევრობა განსხვავებით თვითიმედოვნებისაგან, გაუცნობიერებელი გაუფრთხილებლობაა. „დაუდევრობის დროს საქმე გვაქვს ინტელექტუალურ ელემენტთან. პირი არ ითვალისწინებს თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას, თუმცა ვალდებული იყო და შეეძლო გაეთვალისწინებინა, იგი. განსხვავებით თვითიმედოვნებისაგან, დაუდევრობისას პირის წინაშე სრულიად არ წარმოიშვება საკითხი ამ შედეგის შესახებ.“[13] კანონმდებელი დანაშაულებრივი განსაზღვრებას უკავშირებს ორ კრიტერიუმს. პირველი კრიტერიუმი ობიექტურ კრიტერიუმადაა მიჩნეული („გათვალისწინება ევალდებოდა“), ხოლო მეორე კრიტერიუმი მიჩნეულია

---

[9] საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები (ნაწილი პირველი), გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ თბილისი - 1976 წელი, გვ. 68.

[10] დონჯაშვილი თ., საქართველოს სიხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი), თბილისი, 2002, გვ. 179.

[11] იქვე.

[12]ტურავა მ., სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა (მეცხრე გამოცემა), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013, გვ. 245-246.

[13] ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2007, გვ.137.

სუბიექტურ კრიტერიუმად („გათვალისწინება შეეძლო კიდეც“).“[14] „დაუდევრობის ნებელობითი მხარე იმაში გამოიხატება, რომ სუბიექტს აქვს რეალური შესაძლებლობა გაითვალისწინოს და თავიდან აიცილოს თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო შედეგი, მაგრამ იჩენს ე.წ „ფსიქიკურ პასიურობას (უმოქმედობას)“, კერძოდ არ ძაბავს თავის ფსიქიკურ ძალებს და შესაძლებლობებს ნებელობითი მოქმედების ჩასადენად, რაც აუცილებელია დასახული შედეგის გათვალისწინებისა თუ თავიდან აცილებისათვის.“[15] „დაუდევრობის სუბიექტური კრიტერიუმი მდგომარეობს იმაში, რომ პირს თავისი პიროვნული თვისებებით ინდივიდუალურად ჰქონდეს შესაძლებლობა, გაითვალისწინოს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობა. ვიწრო გაგებით პირის პიროვნულ თვისებებს განეკუთნება განათლების და ინტელექტის დონე, ფსიქიკური გადახრების არსებობა ან არარსებობა, პროფესიული და ცხოვრებისეული გამოცდილება, კონკრეტული მოქმედების ჩადენის მომენტში ჯანმრთელობის მდგომარეობა და ა.შ. დასახელებული თვისებების გამორკვევა და მათი იმ სიტუაციის თავისებურებებისადმი წაყენება, რომელშიც ხორციელდება მოქმედება, საშუალებას იძლევა დადგინდეს, შეეძლო თუ არა კონკრეტულ პირს გაეთვალისწინებინა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობა და აეცდინა იგი.“[16] „დაუდევრობა არის ბრალის ერთადერთი სახე, რომლის დროსაც სუბიექტი არ ითვალისწინებს თავისი მოქმედების საზოგადოებრივად საშიშ შედეგს, არც როგორც აუცდენელს და არც როგორც რეალურად (კონკრეტულად) ან აბსტრაქტულად შესაძლებელს. შედეგების ასეთი გაუთვალისწინებლობა არ ნიშნავს შედეგისადმი ყოველგვარ ფსიქიკური დამოკიდებულების არარსებობას, არამედ წარმოადგენს ფსიქიკური დამოკიდებულების თავისებურ ფორმას. შედეგის გაუთვალისწინებლობა დაუდევრობის დროს მიუთითებს კანონის მოთხოვნათა, საყოფაცხოვრებო წესების, სხვა ადამიანთა ინტერესების უგულვებელყოფაზე. დაუდევრობის არსი ისაა, რომ დამნაშავეს რეალური შესაძლებლობა აქვს გაითვალისწინოს თავისი ქმედების საზოგადოებრივად საშიში შედეგი, მაგრამ არ ძაბავს ფსიქიკურ ძალებს, რათა გაითვალისწინოს და თავიდან აიცილოს იგი.“[17]

---

[14] ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2007, გვ.138.

[15] დონჯაშვილი თ., საქართველოს სიხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი), თბილისი, 2002, გვ. 183.

[16] იქვე, გვ. 185.

[17] სურგულაძე ლ., სისხლის სამართალი (დანაშაული), გამომცემლობა „ქრონოგრაფის“ სტამბა, თბილისი, 1997, გვ. 200.

გაუფრთხილებლობის საკანონმდებლო დეფინიციის ანალიზი ცხადყოფს, რომ მასში მოცემული აკრძალული ქმედება უკავშირდება წინდახედულობის ნორმას და მისით აკრძალული ქმედების გათვალისწინება-გაუთვალისწინებადობას. წინდახედულობის ნორმა, როგორც გაუფრთხილებლობის ნორმატიული კატეგორია, დომინანტია მისი სახეების განმარტებისა და დახასიათებისას, მით უფრო ფსიქოლოგიურ ნაწილში, რადგან მისი ცნება საკმაოდ ფართოა. ამაზე უთითებს თავად სიტყვის გენეზისი და მისი ამ ფორმით (დამატებითი განმარტების გარეშე) კანონმდებლობაში დაფიქსირება. თავის მხრივ, „წინდაუხედაობა ნიშნავს იმას, რომ პირი თავისი საზოგადოებრივი ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ან პროფესიული საქმიანობისას, ანდა ყოველდღიურ ცხოვრებაში, არ იცავს წინდახედულობის ნორმებს, რომლებიც გამომდინარეობს წერილობითი ან დაუწერელი, ცხოვრებისეულ პრაქტიკაში დამკვიდრებული წესებიდან.“[18] „წინდაუხედაობა ეს არის სერიოზული დაუფიქრებელი საქციელი, რომლის ჩამდენმაც იცის, რომ მას შეიძლება მოჰყვეს ზარალი, მაგრამ მაინც მოქმედებს, ე.ი დაინტერესებულ პირს შეგნებული აქვს სერიოზული რისკის საფრთხე, მაგრამ ამ რისკის შეგნების მიუხედავად მოქმედებს.“[19] „სათანადო წინდახედულობის ხარისხი დიფერენცირებულ უნდა იქნეს აგრეთვე პირის სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მდგომარეობის, მისი პროფესიის მიხედვით. რაც უფრო მაღალი სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მდგომარეობა უკავია პირს, მით უფრო ფართოა მისი მოვალეობათა წრე და შესაბამისად, მით უფრო მეტი წინდახედულობა და მზრუნველობა მოეთხოვება ამ მოვალეობათა შესრულებისას.“[20] „დანაშაულებრივი დაუდევრობისაგან უნდა განვასხვაოთ ე.წ. შემთხვევა ანუ ზიანის არაბრალეული მიყენება. შემთხვევად ითვლება ისეთი სიტუაცია, როდესაც ქმედების ჩამდენ პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა და საქმის გარემოებების მიხედვით არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა ან არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და საქმის გარემოებების მიხედვით არ შეეძლო მისი გათვალისწინება ან არ უნდა გაეთვალისწინებინა მისი განხორციელება. შემთხვევას ახასიათებს ან დანაშაულებრივი დაუდევრობის ობიექტური და

[18] ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2007, გვ.138.

[19] დონჯაშვილი თ., საქართველოს სიხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი), თბილისი, 2002, გვ. 179.

[20]საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები (ნაწილი პირველი), გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი - 1976 წელი, გვ. 70-71.

სუბიექტური კრიტერიუმების ან ერთ-ერთი ამ კრიტერიუმის არარსებობა.“[21] „თუკი არ არსებობს სახეზე დანაშაულებრივი დაუდევრობის ობიექტური და სუბიექტური კრიტერიუმები, ან არ არის თუნდაც ერთ-ერთი მათგანი, პირი, რომელმაც დაუშვა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა, არ იმსახურებს პერსონალურ გაკიცვას, ე.ი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ვინაიდან მის მოქმედებაში არ არის ბრალი, ხოლო თვით დამდგარი შედეგი შეფასდება როგორც უბედური შემთხვევა ან კაზუსი.“[22] „წინდახედულობის ნორმა, არც თუ იშვიათად არის დაუწერელი წესი ქცევისა, რადგან ის ადამიანთა საუკუნოვანი პრაქტიკული გამოცდილების ფონზე ყალიბდება, როგორც გარესინამდვილის საგნებისა და მოვლენებისადმი ადამიანის ფრთხილი, ყურადღებიანი, პასუხისმგებლური დამოკიდებულების მოთხოვნა.“ [23]

1.2 გაუფრთხილებლობის და არაპირდაპირი განზრახვის ურთიერთმიმართება და მასთან დაკავშირებული თეორიები

გაუფრთხილებლობის და მით უფრო თვითიმედოვნების დახასიათებისას აუცილებლად უნდა შევეხოთ მის კავშირსა და ურთიერთმიმართებას არაპირდაპირ განზრახვასთან. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად: „ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას.“[24] „ევენტუალური განზრახვით მოქმედებს პირი, რომელიც სოციალურად საშიში შედეგის დადგომის კონკრეტული რისკის მდგომარეობაში ქმედების შემადგენლობის განხორციელებას შესაძლებლად მიიჩნებს (კოგნიტური ანუ ცოდნის ელემენტი)

[21] ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2007, გვ. 138.

[22] დონჯაშვილი თ., საქართველოს სიხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი), თბილისი, 2002, გვ. 186.

[23] ნაჭყებია გ., ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბილისი, 2010, გვ. 236.

[24] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლი (2019 წლის 08 მაისის მდგომარეობით).

და შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება მას (სუსტი სურვილის წარმომშობი ვოლუნტატური ელემენტი.“[25] „ძირეული განსხვავება თვითიმედოვნებისა, პირველ რიგში არაპირდაპირი განზრახვისაგან ნებელობითი მომენტისაგან წარმოდგება. არაპირდაპირი განზრახვისას პირი იღებს გადაწყვეტილებას იმოქმედოს განსაზღვრული მიმართულებით, მიუხედავად იმისა, რომ ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის განხორციელების შესაძლებლობისას. თვითიმედოვნებისას პირიქით, პირი გადაწყვეტს იმოქმედოს განსაზღვრული მიმართულებით, რადგან იმედოვნებს, რომ მართლსაწინააღმდეგო შედეგს თავიდან აიცდენს. სწორედ პირის შინაგანი რწმენა, რომ შედეგი არ განხორციელდება, წარმოადგენს ერთ-ერთ მოტივს, რაც განაპირობებს მის მიერ დანაშაულის ჩადენას.“[26] „დარწმუნება, რომელიც ასაბუთებს თვითიმედოვნებას და გამორიცხავს ევენტუალურ განზრახვას, არ შეიძლება გავაიგივოთ ლიტონ იმედთან, ვინაიდან იგი ემყარება არა გარემოებათა შემთხვევით დამთხვევას, არამედ კონკრეტულად განსაზღვრულ ფაქტორებს, სუბიექტის პირად თვისებებს ან გარეგან ძალას, რომლებსაც, დამნაშავის რწმენით, შეუძლიათ ხელი შეუშალონ ზიანის რეალურ განხორციელებას.“[27] „საზოგადოებრივად საშიში შედეგის თავიდან აცილების სურვილი და დარწმუნება, რომ ვარაუდი სწორია, გულისხმობს თვითიმედოვნების დროს ინტელექტუალურ მომენტსაც, ე.ი „წარმოდგენას, რომ არ არსებობს ამ შედეგის განხორციელების რეალური შესაძლებლობა. მაშასადამე, ევენტუალური განზრახვა და თვითიმედოვნება განსხვავდებიან არა მარტო ნებელობითი, არამედ და აგრეთვე ინტელექტუალური მხრითაც, ე.ი იმ წარმოდგენათა შინაარსის მიხედვით, რომელიც თან ახლავს მოქმედების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას. მაშინ, როდესაც ევენტუალური განზრახვის დროს დამნაშავეს წარმოდგენილი აქვს კონკრეტული საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის რეალური შესაძლებლობა, დანაშაულებრივი თვითიმედოვნების დროს იგი ითვალისწინებს მხოლოდ აბსტრაქტულ შესაძლებლობას ე.ი ითვალისწინებს, რომ საზოგადოდ ამგვარ მოქმედებას შეუძლია გამოიწვიოს ასეთი შედეგი, მაგრამ მისი აზრით, ამ კონკრეტულ სიტუაციაში საფრთხის რეალიზაცია გამორიცხულია.“[28] „ინტელექტუალური

---

[25] ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაულის მოძღვრება, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, გვ. 281.

[26] ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2007, გვ.135-136.

[27]საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები (ნაწილი პირველი), გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი - 1976 წელი, გვ. 65.

[28] იქვე, გვ. 66-67.

მხარის მიხედვით, თვითიმედოვნება ემსგავსება არაპირდაპირ განზრახვას, მაგრამ თუ არაპირდაპირი განზრახვის დროს პირი ითვალისწინებს მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის რეალურ შესაძლებლობას, თვითიმედოვნების დროს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობა გათვალისწინებულია აბსტრაქტულად.“ [29] „ძირეული განმასხვავებელი ნიშანი თვითიმედოვნებასა და არაპირდაპირ განზრახვას შორის ნებელობით სფეროშია. არაპირდაპირი განზრახვის დროს, პირი შეგნებულად უშვებს (გულგრილად ეკიდება) მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, დადებითად ეკიდება მას, ხოლო თვითიმედოვნების დროს დამნაშავე არათუ შეგნებულად უშვებს შედეგის დადგომის შესაძლებლობას, არამედ ისწრაფვის მისი თავიდან აცილებისკენ, უარყოფითად ეკიდება მას. შედეგის დადგომის ვარაუდი თუმცა უსაფუძვლოა, მაგრამ სწორედ ეს ვარაუდია თვითიმედოვნების არსებითი განმასხვავებელი მომენტი არაპირდაპირი განზრახვისაგან, რომლის დროსაც ასეთი ვარაუდი გამორიცხულია, თუმცა კი ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს გაუმართლებელი იმედი, რომ მავნე შედეგი არ დადგება.“[30] „არაპირდაპირი განზრახვის დროს, დამნაშავე შეგნებულად უშვებს საზოგადოებრივი შედეგის განხორციელების შესაძლებლობას, დადებითად ეკიდება მას, ხოლო თვითიმედოვნებისას დამნაშავე არა თუ შეგნებულად უშვებს შედეგის დადგომის შესაძლებლობას, არამედ ისწრაფვის მის თავიდან აცილებას, უარყოფითად ეკიდება მას. შედეგების თავიდან აცილების ვარაუდი თუმცა ქარაფშუტულია, მაგრამ სწორედ ეს ვარაუდია თვითიმედოვნების მომენტი, რომლის დროსაც ასეთი ვარაუდი გამორიცხულია, თუმცა, ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს მავნე შედეგის არდადგომის გაუმართლებელი იმედი.“ [31] „აშკარაა, რომ ევენტუალური განზრახვა და დაუდევრობა სუბიექტის უპასუხისმგებლობის ანუ ბრალის სხვადასხვა ხასიათსა და ხარისხს გამოხატავს. ამ პოზიციიდან დავას არ უნდა იწვევდეს თვითიმედოვნების სპეციფიკაც, როცა სუბიექტი უსაფუძვლოდ ანუ უპასუხისმგებლოდაა დარწმუნებული, რომ მართლსაწინააღმდეგო შედეგი არ დადგება, მაშინ როცა ეს შედეგი მოცემულ შემთხვევაში გარდუვალია, თუმცა ამ გარდუვლობას სუბიექტი, წინდახედულობის ნორმისადმი უპასუხისმგებლო

[29] დონჯაშვილი თ., საქართველოს სიხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი), თბილისი, 2002, გვ. 180.

[30] იქვე, გვ. 180-181.

[31]სურგულაძე ლ., სისხლის სამართალი (დანაშაული), გამომცემლობა „ქრონოგრაფის“ სტამბა, თბილისი, 1997, გვ. 199.

დამოკიდებულების გამო არ ითვალისწინებს.“[32] ასევე, „როგორც ევენტუალური განზრახვის, ასევე თვითიმედოვნების დროს, პირი ხედავს საფრთხეს და ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, მას არ შეიძლება შეერაცხოს ევენტუალური განზრახვა, თუ ქმედების ჩადენის დროს სამართლებრივი სიკეთის დაზიანების საფრთხე სერიოზულად არ ჰქონდა მიჩნეული, როგორც რეალურად შესაძლებელ კონკრეტულ შედეგში რეალიზებადი. ასეთ შემთხვევაში პირს შეიძლება მხოლოდ თვითიმედოვნება შეერაცხოს. სწორედ კონკრეტული შედეგის დადგომის შეგნებულად დაშვება არის საზღვარი თვითიმედოვნებასთან. ასეთი ქმედების ჩადენის შემთხვევაში, ზოგადად სამართლებრივი სიკეთის დაზიანების აბსტრაქტული შესაძლებლობის შეგნებულობა, რომელსაც მისი წარმოდგენით კონკრეტულ შემთხვევაში შედეგი არ მოჰყვება, არ წარმოადგენს ევენტუალურ განზრახვას და მაქსიმუმ შესაძლებელია, თვითიმედოვნებას წარმოადგენდეს. ვინც საფრთხეს ხედავს, მაგრამ სამართლებრივი სიკეთის დაზიანების რისკს არასწორად აღიქვამს ან მხოლოდ მცირედ მიიჩნევს და ამიტომ უსაფუძვლოდ იმედოვნებს, რომ შედეგი არ დადგება, მოქმედებს თვითიმედოვნებით.“ [33]

აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ სისხლის სამართლის მეცნიერებაში განვითარდა ევენტუალური (არაპირდაპირი) განზრახვისა და თვითიმედოვნების გამიჯვნის სხვადასხვა თეორიები. უფრო კონკრეტულად კი, შემეცნების თეორიის მიხედვით, ევენტუალური განზრახვის არსებობის აუცილებელი წინაპირობაა პირის გარკვეული წარმოდგენა ქმედების შემადგენლობის განხორციელების საფრთხის შესახებ, ხოლო ნებელობითი მომენტის არსებობა არ არის აუციელებელი. ევენტუალური განზრახვა და (შეგნებული) გაუფრთხილებლობა ერთმანეთისგან განსხვავდება მხოლოდ ქმედების შემადგენლობის განხორციელების ცოდნის სფეროში. „შესაძლებლობის თეორია, რომლის მიხედვითაც არ არის ვოლუნტატური ელემენტის არსებობა საჭირო, არამედ საკმარისია პირის მიერ კონკრეტული შედეგის დადგომის შესაძლებლობის გაცნობიერება და მიუხედავად ამისა, ქმედების ჩადენის გადაწყვეტილებაზე დარჩენა. შესაძლებლობის თეორია ევენტუალური განზრახვისა და თვითიმედოვნების ურთიერთგამიჯვნის დროს შემოიფარგლება ინტელექტუალური მხარით: თუ პირს შეცნობილი ჰქონდა

[32] ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი სახელმძღვანელო (მეორე გამოცემა), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2016, გვ. 238.

[33] ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაულის მოძღვრება, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, გვ. 282.

ქმედების შემადგენლობის განხორციელების კონკრეტული შესაძლებლობა, იგი მოქმედებს ევენტუალური განზრახვით, ხოლო თუ იგი მხოლოდ აბსტრაქტულ საფრთხეს ხედავს და არა კონკრეტულს ან საფრთხეზე საერთოდ არ უფიქრია, იგი მოქმედებს თვითიმედოვნებით."[34] „ალბათობის თეორია აღიარებს შედეგის დადგომის მოსალოდნელ შეცნობადობას, რომელიც უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ შესაძლებლობა. აქაც არ არის ვოლუნტატური ელემენტის (ნებელობის) დადგენა აუცილებელი, ხოლო რისკის თეორიების მიხედვით, განზრახ მოქმედებს პირი იმ შემთხვევაში, როდესაც იგი არანებადართულ, მართლწესრიგის მიერ შეუწყნარებელ კონკრეტული რისკის მდგომარეობას შეგნებულად შექმნის, რომელსაც გამოიწვევს მის მიერ ქმედების შემადგენლობის განხორციელება და რისკის ფაქტორის არსებობის მიუხედავად, ასეთი მოქმედების ჩადენაზე უარს არ ამბობს. ამ თეორიის მიხედვით საკმარისია, რომ პირმა მხოლოდ საფრთხის, რისკის შესახებ იცოდეს ან მას სერიოზულად აღიქვამდეს, ვოლუნტატური მომენტის დადგომის გარეშე. მთავარია, რომ პირი მოქმედებს იმის შეგნებით, რომ მისი ქმედება თავისი შეფასებითი და ობიექტური კრიტერიუმებით დაუშვებელი რისკის მდგომარეობას წარმოშობს."[35] „უმნიშვნელო რისკის მდგომარეობა კი გამორიცხავს განზრახვას. ამ თეორიის მიხედვით, განზრახვასა და გაუფრთხილებლობის გამიჯვნა შეიძლება მოხდეს უკვე ქმედების ობიექტური შემადგენლობის ეტაპზე. ამ შეხედულების თანახმად, განზრახვა, ვოლუნტატური მომენტის დადგენის გარეშე, არსებობს იმ შემთხვევაში, როცა პირი შეგნებულად რისკზე წავა. საფრთხის თეორია არსებითად მიიჩნევს არა დამნაშავის ემოციურ დამოკიდებულებას შედეგისადმი, არამედ იმას, რომ მას სამართლებრივი სიკეთის დაზიანების კონკრეტული საფრთხე შეცნობილი აქვს და ამ საფრთხის შეგნების მიუხედავად, თავის განზრახვაზე უარს მაინც არ ამბობს. ევენტუალური (არაპირდაპირი) განზრახვა არსებობს იმ შემთხვევაში, როცა სამართლებრივი სიკეთისთვის ქმედების შემადგენლობის გარემოებათა განხორციელების კონკრეტული, უშუალო საფრთხის შეცნობის მიუხედავად, მაინც არ ხდება დამნაშავის მიერ საკუთარი განზრახვიდან დისტანცირება."[36]

ნებელობის თეორიის მიხედვით, ევენტუალურ განზრახვას აქვს ორი დამოუკიდებელი ნიშანი: ქმედების შემადგენლობის განხორციელების ცოდნა

---

[34] ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაულის მოძღვრება, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2011, გვ. 293.

[35] იქვე, გვ. 294.

[36] იქვე.

და ნება. იგი პირდაპირი განზრახვისაგან განსხვავდება არა ძირითადი სტრუქტურით, არამედ ამ კომპონენტების შინაარსით, ხოლო თვითიმედოვნებისაგან - შედეგის ნებელობის ელემენტის არსებობით. „განზრახვა არის ქმედების მთლიანი შემადგენლობის ნებელობით, ხოლო გაუფრთხილებლობა შედეგის ნების გარეშე განხორციელება. არსებობს ნებელობის თეორიების სხვადასხვა სახეები: შედეგის მოწონების თეორიის მიხედვით, განზრახ მოქმედებს ის, ვინც შედეგის დადგომას შესაძლებლად მიიჩნევს, შედეგს შინაგანად იწონებს და მას შეგნებულად უშვებს. ვინც შედეგს შინაგანად უარყოფს და შედეგის არდადგომას იმედოვნებს, მოქმედებს განზრახვის გარეშე. თანაბარმნიშვნელობის თეორიის მიხედვით, დამნაშავისთვის სულერთია, დადგება თუ არა შედეგი. ამ შეთხვევაშიც პირი შედეგის გამოწვევას შესაძლებლად მიიჩნევს და გულგრილად ეკიდება მის დადგომას. შედეგის თავიდან აცილების თეორიის მიხედვით, განზრახ მოქმედებს ის, ვისაც მისი მოქმედებით გამოწვეული მისთვის არასასურველი შედეგი შესაძლებლობად მიაჩნია, მისი ნება კი მისი თავიდან აცილებისკენ არის მიმართული, მაგრამ არასასურველი შედეგის დადგომის შესაძლებლობასაც ეგუება, ხოლო შედეგის დადგომის რეალურობის აღქმის თეორიის მიხედვით, ევენტუალური განზრახვა სახეზეა მაშინ, როდესაც პირს სამართლებრივი სიკეთისთვის ზიანის მიყენების შესაძლებლობა სერიოზულად მიაჩნია და ამ ფაქტთან შეგუებულია. ვინც პირიქით ფიქრობს, მოქმედებს მხოლოდ გაუფრთხილებლობით.“ [37]

თავი II. ქმედებისა და ქცევის ურთიერთმიმართება და ქცევასთან დაკავშირებული თეორიები

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ესე იგი კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება“.[38] მაშასადამე „ქმედების

[37] ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაულის მოძღვრება, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, გვ. 295-297.

[38] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლი (2019 წლის 08 მაისის მდგომარეობით).

შემადგენლობის განხორციელების აუცილებელი პირობაა ქმედების ჩადენა, ანუ ფიზიკური პირის მიერ სისხლის სამართლის კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა ან მისთვის საფრთხის შექმნა."[39] „ქართული სისხლის სამართალი არის ქმედების სამართალი. სისხლისსამართლებრივი განსჯის საგანია არა უბრალოდ ადამიანის აზრი, სურვილი, ხასიათი ან ცხოვრების წესი, არამედ კონკრეტული ქმედება, რომელიც ზიანის მიყენების ან საფრთხის შექმნისკენ არის მიმართული."[40] სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანი ქმედებას განმარტავენ, როგორც „სოციალურად მნიშვნელოვან ქცევას" ან როგორც „ადამიანის ნების ბატონობის ქვეშ მოქცეულ ან მოქცევად სოციალურად მნიშვნელოვან ქცევას.'"[41] მაშასადამე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის უპირველესი საფუძველი არის პირის ქმედება, რომელიც შეიძლება იყოს მხოლოდ ნებელობითი ხასიათის. ქცევა რთული სტრუქტურული მთლიანობაა. პიროვნების ზნეობრივი სახე მის ქცევაში, მოქმედებაში ვლინდება. თუ როგორი ზნეობრივი ღირებულებებია ადამიანში მოქმედი, ეს ყოველთვის გამოჩნდება მის ქცევაში. ქცევა ერთის მხრივ, ობიექტურ სინამდვილეს ცვლის, ხოლო მეორეს მხრივ - თვითონ იმ სუბიექტს, რომელიც ქცევის აქტებს აწარმოებს. აქედან, პიროვნების ფორმირების პროცესს უთუოდ უკავშირდება მის მიერ განხორციელებულ ქცევათა რაგვარობა."[42] „დანაშაულებრივი ქცევა არის კომპლექსური; მხოლოდ შემეცნებით და გადაწყვეტილებით მოდელებს გააჩნიათ უნარი გაუმკლავდნენ მის მრავალფეროვნებასა და სხვადასხვაგვარობას."[43] მაშასადამე, გაუფრთხილებლობასთან მიმართებით მეტად მნიშვნელოვანია განვიხილოთ ადამიანის ქცევის ბუნება.

---

[39] ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაულის მოძღვრება, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2011, გვ. 162.

[40] იქვე.

[41] იქვე, გვ. 178.

[42] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევის პედაგოგურ-ფსიქოლოგიურო საკითხები, გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი 2013, გვ. 5.

[43] Tuck M., Riley D., The Theory of Reasoned Action: A Decision Theory of Crime, 167.

2.1. ქმედების სისხლისსამართლებრივი და ფსიქოლოგიური ასპექტები

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აწესებს მხოლოდ და მხოლოდ დანაშაულის ჩადენისთვის, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, დანაშაული განისაზღვრება როგორც მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება/უმოქმედობა. არსებული განსაზღვრებიდან გამომდინარე, დანაშაულს წარმოადგენს ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება არა ვიწრო გაგებით დადგენილ ნორმებს, არამედ უშუალოდ საზოგადოებაში დამკვიდრებულ კულტურულ ღირებულებებსაც და შესაბამისად, ასეთი აქტივობის ჩადენისათვის საქმის სუბიექტს წარედგინება ბრალი ანუ მოსამართლის მიერ პირის ინდივიდუალურ სამართლებრივი გაკიცხვა მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო. ამრიგად, „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დადგომისთვის არ კმარა ის, რომ პირმა ჩაიფიქრა დანაშაულის ჩადენა; პასუხისმგებლობა არ დგება გააზრებისა და სურვილის გამო. ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აწესებს შინაგანი ქცევის რეალური აქტისთვის, ე.ი. იმ განსაზღვრული, აღწერილი ქმედებისთვის, რომელიც მოცემულია კანონში.“[44] შესაბამისად, დანაშაული გამოიხატება მოქმედებაში ან უმოქმედობაში. „სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულთა უმრავლესობა აქტიური მოქმედებით ხორციელდება. აქტიური დანაშაულებრივი მოქმედება, მართლია, მოტივისა და მიზნის, ანუ, ფსიქოლოგიური ქცევის განხორციელების ხერხია, მაგრამ მასში არ იგულისხმება რეფლექტური მოქმედება, რომელიც ბუნებრივი რეფლექსის გამოვლენაა და ნების გარეგან აქტს არ წარმოადგენს.“[45] რაც შეეხება დანაშაულებრივ უმოქმედებობას, ამ დროს „სუბიექტი არ ასრულებს აქტიური მართლზომიერი მოქმედების მოვალეობას, რის გამოც ირღვევა ადამიანთა ურთიერთობის დადგენილი წესი.“[46] აქვე უნდა ითქვას, რომ „დანაშაულებრივ მოქმედებას თუ უმოქმედობას მოაქვს ვნებითი შედეგი, რომელიც მითითებულია კერძო ნაწილის ცალკეულ მუხლებში. ეს შედეგი და მოქმედება

---

[44] მჟავანაძე ზ., მინდაძე ო., სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი), ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2015, გვ. 108-109.

[45] ნაჭყებია გ., ქმედების დანაშულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბილისი 2010, გვ. 159.

[46] იქვე, გვ. 165.

ერთმანეთთან მიზეზობრივ კავშირშია და განეკუთნება ობიექტურ მხარეს.“[47] თავის მხრივ, „ადამიანის ქცევა რთული და მრავალფაქტორიანი მოვლენაა. თითოეული მოქმედება განისაზღვრება მისი ადგილმდებარეობით, პიროვნების ზოგად სამოქმედო სტრუქტურაში. ინდივიდის განვითარების მიმდინარეობისას ინდივიდუალური ქცევითი სისტემები ტრანსფორმირდება ბევრად უფრო რთულ ქცევით სტრატეგიებად, რის შედეგადაც ინდივიდის ბაზაზე ყალიბდება ინდივიდუალური, პიროვნებისათვის დამახასიათებელი ქცევითი ტიპი. პიროვნების მიერ განხორციელებული ქცევითი აქტივობა, ემსახურება მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. შესაბამისად, პიროვნების ფსიქოლოგიური მახასიათებლები და თავისებურებები, ყველაზე კარგად ზუსტად მის მიერ განხორციელებულ ქცევით აქტივობაში გამოიხატება.“[48] „ქმედების, როგორც აქტიური მოქმედებისა და უმოქმედობის ერთიანობა, თავის თავში გულისხმობს გარკვეულ მიმართებას ქცევის ფსიქოლოგიურ გაგებასთან. მით უმეტეს, რომ მოტივი და მიზანი, რომელიც ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარის ნიშნებს შეადგენენ, ფსიქოლოგიური ცნებებია და ქცევის ფსიქოლოგიური ცნების არსებითი ნიშანია,“[49] ხოლო „დანაშაული მოტივისა და მიზნის ანუ ფსიქოლოგიური ქცევის განხორციელების ხერხია.“[50]

2.2 ქცევასთან დაკავშირებული თეორიების მიმოხილვა

განპირობებული ქცევის თეორიის მიზანია ახსნას პირის ნებაყოფლობითი ქცევები. „იგი გამორიცხავს ქცევათა ფართო სპექტრს, როგორიცაა სპონტანური, იმპულსური, ჩვეულებითი, ასევე ძლიერი სურვილების, ჟინის შედეგი, ან მარტივად გაწერილი ან უაზრო ქცევები. ასეთი ქცევები იმიტომ არის ამორიცხული, რომ მათი განხორციელება შეიძლება არ იყოს ნებელობითი ან ქცევებში ჩართვით არ შეიცავდეს შეგნებულ გადაწყვეტილებას. განპირობებული ქცევის თეორია ასევე ამორიცხავს თავისი სპექტრიდან ისეთ ქცევებს, რომლებიც შეიძლება მოითხოვდნენ განსაკუთრებულ უნარებს,

[47] მჟავანაძე ზ., მინდაძე ო., სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი), ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი 2015, გვ. 109.

[48] დანაშაულის ცნება და ფსიქოლოგია; იხ. <http://investigativepsychology.blogspot.com/2015/05/blog-post.html>, (29.06.2019).

[49] ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი სახელმძღვანელო (მეორე გამოცემა), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2016, გვ. 108.

[50] იქვე, გვ. 109.

უნიკალური შესაძლებლობებს ან საშუალებებს, ან სხვათა თანამშრომლობის შესრულებას. პირმა შეიძლება ვერ შეძლოს ქცევის განხორციელება უნარების დეფიციტის, შესაძლებლობების ნაკლებობის ან თანამშრომლობის ნაკლებობის გამო და არა ქცევაში არჩევანის ნებაყოფლობითი გადაწყვეტილების გამო.“ [51] „განპირობებული ქცევის თეორია ეხება პირის ყველა განზრახ ქმედებას. იგი ამოსავალ წერილად იღებს ცვლადს, რომელსაც ჰქვია „ქცევითი განზრახვა“, რომელიც არის მოცემულ ქცევაში ჩართვის განზრახვა და რომელიც წინ უძღვის ასეთ ქცევას. ქცევით განზრახვებს შეიძლება ადგილი ჰქონდეს სპეციფიკურობის, განსხვავებულობის ნებისმიერ დონეზე და დროის სხვადასხვა პერიოდში.“[52] აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ გაუფრთხილებლობისას, კერძოდ, თვითიმედოვნებისას, პირი საკუთარ მოქმედებას აღიქვამს დადებით ასპექტში. თუმცა ეს დადებითი აღქმაც შეფასებითია, რადგან, როგორც ლიტერატურაშია გამოთქმული „თვითიმედოვნება შეიცავს დადებითად გამოხატულ ანტიპათიას მავნე გვერდითი ეფექტის მიმართ.“[53] ამრიგად, პიროვნების დამოკიდებულება, ურთიერთობა მოქმედებისადმი, გაუფრთხილებლობისას სუბიექტის შეგნებაში დადებითადაა გადაწყვეტილი. „გადაწყვეტილების აქტს ყოველთვის წინ უსწრებს ყველა შესაძლებლობის აწონდაწონა. ფსიქოლოგიაში ნებისმიერი მოქმედების საბუთს თუ საფუძველს მოტივს უწოდებენ. მაშასადამდე, სანამ ადამიანი რაიმეს გადაწყვეტს, მან სათანადო მოტივები უნდა მოძებნოს. გადაწყვეტის აქტს მოტივაციის პროცესი უსწრებს წინ. მოტივსა და ქცევებს შორის ერთგვარი ზღვარია. საქმე ისაა, რომ ქცევა სხვაა და მოტივი სხვა.“[54]

„განპირობებული ქცევის თეორიის ძირითადი პრეზუმცია არის ის, რომ უმეტეს შემთხვევაში ინდივიდებს შეუძლიათ აირჩიონ, შეასრულონ თუ არა ქცევა. განპირობებული ქცევის თეორია აცხადებს, რომ ქცევის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი არის პირის განზრახვა.“[55] „განპირობებული ქცევის თეორია მიიჩნევს, რომ ნებელობითი ქცევის ყველაზე ძლიერი განმსაზღვრელი არის პირის განზრახვა. მიიჩნევენ, რომ ქცევითი განზრახვები ინდივიდუალური და ნორმატიული გავლენის შედეგია. თავის მხრივ, ინდივიდუალური გავლენა განზრახვაზე არის ნებაყოფლობითი ქცევის

---

[51] Hale J. L., Householder B. J., Greene K. L., The Theory of Reasoned Action, 259-260.

[52] Tuck M., Riley D., The Theory of Reasoned Action: A Decision Theory of Crime, 161.

[53] Lareau F., Ottawa, The Distinction between Conscious Negligence and Recklessness, revised 2 december 2001; იხ. <http://www.lareau-law.ca/article-consciousnegligence.html> (11.06.2019).

[54] ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2007, გვ.142.

[55] Tuck M., Riley D., The Theory of Reasoned Action: A Decision Theory of Crime, 161.

შესრულების მიმართ პირის დამოკიდებულება, ხოლო ნორმატიული გავლენა განზრახვაზე პირის სუბიექტური ნორმაა.“ [56]

„განპირობებული ქცევის თეორია პოსტულატად მიიჩნევს იმას, რომ ნებელობითი ქცევაზე გავლენას ახდენს ქცევითი განზრახვა, ხოლო, თავის მხრივ, ქცევითი განზრახვა არის ქცევის შესრულების მიმართ დამოკიდებულებისა და ქცევასთან დაკავშირებული სუბიექტური ნორმების შედეგი.“[57]

„განპირობებული ქცევის თეორიის ერთი ძირეული კომპონენტი არის ნებელობით ქცევაში ჩართვის მიმართ პირის დამოკიდებულება. დამოკიდებულება ზოგიერთი ქცევის შესრულების მიმართ არის რწმენის ფუნქცია, რომელიც პიროვნებას გააჩნია ქცევასთან დაკავშირებით, ხოლო დამოკიდებულება ზოგიერთი ქცევის შესრულებისადმი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: პირის დამოკიდებულება ქცევისადმი არის რწმენის ძალისა და რწმენის შეფასების ჯამი.“[58] გაუფრთხილებლობა გარკვეული ფორმით არის წმენისა და ძალის შეფასების ჯამი, რამეთუ „გაუფრთხილებლობა თავისი ბუნებით შეცდომის ნაირსახეობაა, რამდენადაც ადამიანი ამ დროს არასწორად აფასებს მოცემულ სიტუაციას და მის მიზანმიმართულ მოქმედებას მოყვება სულ სხვა შედეგი, ვიდრე ნასურვები იყო.“[59]

„დამოკიდებულება შეიძლება განვიხილოთ, როგორც ფორმა, თუ როგორც გრძნობს რაიმეს ადამიანი. როგორც რაიმესადმი გრძნობა. დამოკიდებულებას გააჩნია საკუთარი ობიექტი. ობიექტი, რისკენაც დამოკიდებულებაა მიმართული, შეიძლება იყოს ნებისმიერი რამ - საგანი, ადამიანი, სიტუაცია და სხვ.“[60] ამასთან, დამოკიდებულებაზე საუბრისას მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ ფაქტორებს, რაც პიროვნების დამოკიდებულების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ეს შეიძლება იყოს წინარე ქცევა და განზრახვები.

---

[56]Beresford B., Sloper T., Undrestanding the Dynamics of Decision-Making and Choice: A Scoping Study of Key Psychological Theories to Inform The Design and Analysis of the Panel Study, University of New York, January 2008, 20; იხ. <http://www.york.ac.uk/inst/spru/pubs/pdf/decisionmaking.pdf> (01.06.2019)

[57] Hale J. L., Householder B. J., Greene K. L., The Theory of Reasoned Action, 260.

[58] იქვე, გვ. 261

[59]დვალიძე, ი., სადისერტაციო ნაშრომი „მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე“, 2007, გვ. 102.

[60] Sartain A. Q., North A.J., Strange J. R., Chapman H. M., PSYCHOLOGY: Understanding Human Behavior, 1958, 280; იხ. <http://ia600302.us.archive.org/20/items/psychologyunders033255mbp/psychologyunders033255mbp.pdf>,_06.06.2019).

„წინარე ქცევების კონკრეტული როლი ქცევით განზრახვებსა ან მომავალ ქცევებზე გავლენის მოხდენაში, სულ მცირე სამი სახის ვარაუდს განეკუთნება. პირველი: წარსულ ქცევას აქვს მიზეზობრივი ეფექტი ქცევით განზრახვებზე. ამ სახის მსჯელობა წარსულ ქცევას ჩვევასთან ათანაბრებს, სადაც ქცევის შესრულებას აქვს ავტომატური ხასიათი. მეორე: შესაძლებელია, რომ წინა ქცევა ასახავს განპირობებული ქცევის თეორიის სხვა კომპონენტის გავლენას. როდესაც ადამიანის წინა ქცევა გულისხმობს ღვედის გამოყენებას, წარსული ქცევა, სავარაუდოდ, გავლენას ახდენს, ან გავლენას განიცდის, ღვედის გაკეთებისადმი მის დამოკიდებულებაზე. ანალოგიურად, წარსულში ღვედის გაკეთებამ შეიძლება გავლენა იქონიოს ღვედის გაკეთების მიმართ პიროვნების სუბიექტურ ნორმებზე. მესამე: წარსულ და მომავალ ქცევებზე გავლენა შეიძლება მოახდინოს ისეთმა ცვლადებმა, როგორიცაა აღქმული მორალური ვალდებულება და თვითშეგნება. ანალოგიურად, თუ ინდივიდი გაიღებს სისხლს პირველად იმიტომ, რომ ის გრძნობს მორალურ ვალდებულებას, შემდეგში, მეორეჯერ, სისხლის გაღება სავარაუდოდ აღქმული მორალური ვალდებულების შედეგია. წარსული ქცევები ყველაზე ძლიერ გავლენას ახდენს პირის განზრახვებსა და მომავალ ქცევებზე.“ [61]

დაგეგმილი ქცევის თეორია - აღნიშნული თეორიის მიხედვით, „აღქმული ქცევითი კონტროლი განპირობებულია შინაგანი ფაქტორებისა (უნარები, შესაძლებლობები, ინფორმაცია, ემოციები) და გარეგანი ფაქტორების (ქცევაში ჩართვის შესაძლებლობა და განფენილობა, რომლის ფარგლებშიც ქცევის განხორციელება დამოკიდებულია სხვათა კოოპერაცია/თანამშრომლობაზე) გავლენით. პირის აღქმული ქცევითი კონტროლი ასახავს მის რწმენას იმ ფაქტორებზე, რამაც შეიძლება შეაფერხოს ან ხელი შეუწყოს ქცევის განხორციელებას.“[62] მაშასადამე, დაგეგმილი ქცევის თეორია აფართოებს განპირობებული ქცევის თეორიის ფარგლებს და შეიცავს აღქმული ქცევითი კონტროლის საზომს. „აღქმული ქცევითი კონტროლი ხორციელდება, რათა გავლენა მოახდინოს, როგორც განზრახვაზე, ასევე პირის ქცევაზე.“[63] „აღქმული ქცევის კონტროლი არის აღქმა, თუ როგორი ადვილია ან რთული, კონკრეტული ქცევის შესრულება.“[64] „აღქმული ქცევითი კონტროლი

[61] Hale J. L., Householder B. J., Greene K. L., The Theory of Reasoned Action, 272-273.

[62] Tuck M., Riley D., The Theory of Reasoned Action: A Decision Theory of Crime, 162.

[63] Beresford B., Sloper T., Undrestanding the Dynamics of Decision-Making and Choice: A Scoping Study of Key Psychological Theories to Inform The Design and Analysis of the Panel Study, University of New York, January 2008, 20; იხ. <http://www.york.ac.uk/inst/spru/pubs/pdf/decisionmaking.pdf> (01.06.2019).

[64] Hale J. L., Householder B. J., Greene K. L., The Theory of Reasoned Action, 277.

ხორციელდება, იმისთვისაც, რომ მოახდინოს როგორც პირდაპირი, ასევე ქცევითი განზრახვებით გავლენა ქცევაზე. ეს ეფუძნება შემდეგ ლოგიკას: ქმედებაში განზრახვის განვითარება არის ნაწილობრივ განსაზღვრული პიროვნული ან გარემო ფაქტორებით."[65] ამრიგად, განსხვავება განპირობებული ქცევის თეორიასა და დაგეგმილი ქცევის თეორიას შორის, მდგომარეობს დაგეგმილი ქცევის თეორიის კონტროლის კომპონენტში.

შეგვიძლია გავნასხვაოთ აღქმული ქცევითი კონტროლის სამი ტიპი, კერძოდ: „თვითეფექტურობა", „აღქმული ქცევითი კონტროლი" და „აღქმული კონტროლი ქცევაზე". თვითეფექტურობა განისაზღვრება, როგორც „ადამიანის რწმენა, რომ მას შეუძლია კონკრეტული ქცევის განხორციელება"; აღქმული კონტროლი ქცევაზე განისაზღვრა, როგორც „ქცევის აღქმული მართვადობა", ხოლო აღქმული ქცევითი კონტროლი განისაზღვრა, როგორც „ქცევის განხორციელების აღქმული სიმარტივე ან სირთულე."[66] ამგვარად, თუ თვითეფექტურობა განისაზღვრება, როგორც ადამიანის რწმენა, რომ მას შეუძლია კონკრეტული ქცევის განხორციელება, აღქმული კონტროლი ქცევაზე განისაზღვრა, როგორც ქცევის აღქმული მართვადობა და აღქმული ქცევითი კონტროლი განისაზღვრა, როგორც ქცევის განხორციელების აღქმული სიმარტივე ან სირთულე. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ აღნიშნული სამი კატეგორია წარმოადგენს გაუფრთხილებლობის კომპონენტებს და ასახავს მის ფსიქოლოგიურ არსს.

2.3 ქმედებისა და ქცევის ურთიერთმიმართება გაუფრთხილებლობასთან

„ქცევა სუბიექტური მოთხოვნილებისა და ობიექტური გარემოს (ობიექტის) ზემოქმედების შედეგად აღიძვრის. გარემო უშუალოდ არ ზემოქმედებს ქცევაზე; ის ზემოქმედებას ქცევის სუბიექტზე ახდენს და განაწყობს მას

[65] Armitage C. J., Conner M., Efficecy of the Theory of Planned Behaviour: A meta-analytic review, British Journal of Social Psychology, 2001, 40, 472; იხ. <https://pdfs.semanticscholar.org/ab83/87ae29317c651a129efc7a2297bc5f348a95.pdf> (09.06.2019).

[66] იქვე,479; იხ. <https://pdfs.semanticscholar.org/ab83/87ae29317c651a129efc7a2297bc5f348a95.pdf> (09.06.2019).

ქცევისადმი.“[67] თავის მხრივ პირის მიერ გამოვლენილი ქცევით შეიძლება გაუფრთხილებლობით დადგეს მართლსაწინააღმდეგო შედეგი. ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, ქცევა, რომელიც საფუძვლად ედება გაუფრთხილებლობით დანაშაულს, შეიძლება გამოიხატოს მოქმედებასა ან უმოქმედობაში. „თვით მოქმედება დაუდევრობის დროს, რომლის გამოც ირღვევა უსაფრთხოების წესები, თავისი ფსიქოლოგიური არსით მოტივირებული და მიზანმიმართული, ნებელობითი და გააზრებულია, მაგრამ აქ ნება და გააზრება დანაშულის ჩადენას არ ითვალისწინებს.“[68] „თვით მოქმედება (უმოქმედობა) გაუფრთხილებლობის დროს, რომლის შედეგადაც დაირღვა სიფრთხილის წესები, თავისი ფსიქოლოგიური არსით - მოტივირებული, მიზანმიმართული, ნებელობითი და შეგნებულია.“ [69]

თავი III. გაუფრთხილებლობით დანაშაულში გადაწყვეტილების მიღების და არჩევანის პროცესის მნიშვნელობა

„ადამიანი სანამ რაიმე ქცევას მიმართავდეს, წინასწარ ითვალისწინებს თუ რამდენადაა მისაღები საზოგადოდ ეს ქცევა მისთვის. იგი საკუთარი ქცევის სუბიექტად თავის თავს, თავის მე-ს აღიქვამს. ამიტომ, გასაგებია, რომ სანამ საბოლოოდ გადაწყვეტ როგორ მოიქცეს, წინასწარ უნდა განსაჯოს, აირჩიოს ქცევის რა აქტია მისი მე-სთვის უფრო შესაფერისი. მაშასადამე, გადაწყვეტილების აქტს წინ უსწრებს პერიოდი, რომელშიც ხდება წინასწარი გათვალისწინება, წინასწარი მოძებნა ქცევის იმ სახეობისა, რომელიც სუბიექტის მე-ს საერთო ინტერესებს შეეფერება. ეს ძებნის პროცესი გადაწყვეტილების აქტით მთავრდება, ე.ი ქცევის ისეთი სახეობის მონახვით, რომელიც სუბიექტს თავისი მე-ს შესაფერის აქტად მიაჩნია და რომელზეც მას პასუხისმგებლობის აღება შეუძლია.“[70] რაც შეეხება არჩევანს, იგი „იმ პროცესის შედეგია, რომელიც მოიცავს შეფასებასა და გადაწყვეტილებას; ეს არის განმასხვავებელი

[67]„ქართველი ექსპერტების კომენტარები უზნაძის შრომებზე“, დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2018; იხ. <https://iliauni.edu.ge/uploads/other/43/43528.pdf > (15.06.2019).

[68] მჟავანაძე ზ., მინდაძე ო., სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი), ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი 2015, გვ. 157.

[69] იქვე, გვ. 158.

[70] უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1940, გვ. 164.

პარამეტრების შეფასება და გადაწყვეტილების მიღება, თუ რომელი პარამეტრი ავირჩიოთ. იმისათვის, რომ აღნიშნული პროცესი წარიმართოს და არჩევანი გაკეთდეს, საჭიროა არსებობდეს ორი ან მეტი ალტერნატივა. დამატებით, ამ ალტერნატივებს უნდა გააჩნდეთ გარკვეული პოზიტიური ღირებულება. ამ თვალსაზრისით, არჩევანი იმას შორის, რაც არის უდავოდ სასურველი და იმას შორის, რაც არის სასურველი, არ არის ნამდვილი არჩევანი. პროცესები, რომლებსაც არჩევანი იწვევს, შეიცავს შემეცნებას და ფსიქოლოგიური თეორიები კონცეტრირებულები არიან ახსნან, თუ რაზე დაყრდნობით აკეთებს არჩევანს ადამიანი.“ [71]

3.1 გადაწყვეტილებათა ფორმირება

„გადაწყვეტილების აქტს ყოველთვის წინ უსწრებს ყველა შესაძლებლობის აწონდაწონა. ფსიქოლოგიაში ნებისმიერი მოქმედების საბუთს თუ საფუძველს მოტივს უწოდებენ. მაშასადამდე, სანამ ადამიანი რასმე გადაწყვეტდეს, მან სათანადო მოტივების ძებნა უნდა დაიწყოს. გადაწყვეტის აქტს მოტივაციის პროცესი უსწრებს წინ. მოტივსა და ქცევებს შორის ერთგვარი ზღვარია. საქმე ისაა, რომ ქცევა სხვაა და მოტივი სხვა.“[72] „უფრო ხშირად მოტივს „მოქმედების საბუთად თუ საფუძვლად“ აცხადებენ. ეს შემდეგს ნიშნავს: როდესაც ადამიანი რასმე გადაწყვეტს, ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ რაიმე აიძულებს მას სწორედ ეს გადაწყვეტილება გამოიტანოს, არამედ იმიტომ, რომ სხვადასხვა მოსაზრებით, სწორედ ეს გადაწყვეტილებაა მისთვის ხელსაყრელი. ყოველს არჩევანს უთუოდ აქვს რაიმე საფუძველი, და ნებელობის შემთხვევაში ასეთს საფუძველს მოტივი წარმოადგენს.“[73] „გადაწყვეტილების აქტს წინ უსწრებს აზროვნება: სუბიექტი მსჯელობს თითოეული შესაძლო მიზანშეწონილობის შესახებ და ბოლოს, ერთ-ერთზე ჩერდება. გადაწყვეტილების აქტს ყოველთვის წინ უსწრებს მოფიქრება, ყველა შესაძლებლობათა აწონდაწონა, ერთი

[71] Beresford B., Sloper T., Undrestanding the Dynamics of Decision-Making and Choice: A Scoping Study of Key Psychological Theories to Inform The Design and Analysis of the Panel Study, University of New York, January 2008, 2; იხ. <http://www.york.ac.uk/inst/spru/pubs/pdf/decisionmaking.pdf> (01.06.2019).

[72] ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი სახელმძღვანელო (მეორე გამოცემა), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2007, გვ.142.

[73] უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1940, გვ. 166.

სიტყვით, საკმაოდ რთული აზროვნებითი პროცესი, რომლის შედეგადაც სუბიექტი ერთს რომელსამე ქცევას განსაკუთრებით მიზანშეწონილად ჩათვლის.“[74] „არსებობს ქცევა; და, მისაღები იქნება ეს ქცევა თუ არა, ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რა მოტივები ლაპარაკობს მის სასარგებლოდ და რა მის საწინააღმდეგოდ. მოტივსა და ქცევას შორის ერთგვარი ზღვარია გავლებული.“[75] „ადამიანისათვის მოტივაციის ეტაპი დანაშაულის განხორციელების ან მისგან თავის შეკავების გადაწყვეტილების მიღებით სრულდება. ნების თავისუფლება თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობაში გამოიხატება. ეს მომენტი განსაზღვრავს ინდივიდის შემეცნებაში მიმდინარე მოტივაციური პროცესის მსვლელობას. ადამიანი ფიქრსა და ყოყმანს ასრულებს და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. დანაშაულებრივი ქმედების გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია სხვადასხვა ფორმით განხორციელდეს: იგი ადამიანის ფსიქიკაში გამოიყოფა როგორც განსაკუთრებული ფაზა ან როგორც ფაქტორთა ბრძოლის დასრულების ლოგიკური შედეგის მიიღწევა. გადაწყვეტილებას, როგორც დანაშაულის მომზადების ცალკე ეტაპად გამოყოფას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ადამიანის ფსიქიკაში აღძრული ყველა გარემოება თავის აზრსა და მნიშვნელობას ინარჩუნებს.“[76] „გადაწყვეტილების აქტი სპეციფიკური ფსიქიკური პროცესია. იგი სხვა ფსიქიკურ მოვლენებზე ვერ დაიყვანება.“[77] ამასთან, „გადაწყვეტილების გამოტანა როდი არის ყოველთვის საკმარისი მისი შესრულებისთვის. ნებისყოფა გადაყვეტილების განხორციელებაში მუღავნდება. ამ პერიოდში განსაკუთრებით ვლინდება ნებისყოფის სისუსტე, თუ სიძლიერე. სუსტი ნებისყოფის ადამიანი ვერ ასრულებს გადაწყვეტილებას ოდნავი დაბრკოლების შემთხვევაში, ან გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ დიდი დროის გასვლის შემდეგ.“ [78]

---

[74] უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1940, გვ. 165.

[75] იქვე, გვ. 167.

[76] თვაური ლ., დანაშაულებრივ ქმედებათა ფსიქო სამართლებრივი ანალიზი, თბილისი 2018, გვ. 9.

[77] მერაბიშვილი გ., ზოგადი და იურიდიული ფსიქოლოგია, თბილისი, 1998, გვ. 143.

[78] იქვე, გვ.143.

3.2 არჩევანის ფსიქოლოგია

„ადამიანთა არჩევანის განმარტებები და პროგნოზები როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისე სოციალურ მეცნიერებებში, ხშირად ეფუძნება ადამიანის რაციონალურობას. რაციონალური არჩევანი კი უნდა აკმაყოფილებდეს მდგრადობისა და თავსებადობის ელემენტარულ მოთხოვნებს.“[79] „გადაწყვეტილების პრობლემა განისაზღვრება მოქმედებით ან ვარიანტებით, რომელთა შორის პირმა უნდა აირჩიოს ამ მოქმედებათა შესაძლო შედეგები და შესაძლებლობები ან პირობითი ალბათობები, რომლებიც მოქმედებას აკავშირებს შედეგთან. ჩვენ ვიყენებთ ტერმინს „გადაწყვეტილების ფორმა“, გადაწყვეტილების მიმღების მოქმედებათა კონცეფციის, შედეგების და კონკრეტულ არჩევანთან დაკავშირებული შესაძლებლობების მიმართ. ფორმაზე, რომელსაც გადაწყვეტილების მიმღები ირჩევს, გავლენას ახდენს ნაწილობრივ პრობლემის ფორმულირება და ნაწილობრივ ნორმები, ჩვევები და გადაწყვეტილების მიმღების პიროვნული თვისებები.“[80] „რაციონალური გადაწყვეტილების მიმღები, არჩევანის წინაშე აღმოჩენისას, უპირატესობას მიანიჭებს იმ პერსპექტივას, რომელიც სთავაზობს ყველაზე მაღალ სავარაუდო სარგებელს.“[81] სწორედ, სარგებლის მიღება უდევს საფუძვლად გაუფრთხილებლობით დანაშაულს.

„საყურადღებოა არჩევანის ფსიქოლოგიის შემდეგი ასპექტები. ინდივიდებს, რომლებიც დგანან გადაწყვეტილების პრობლემის წინაშე და აქვთ განსაზღვრული უპირატესობა: ა) შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული უპირატესობა იმავე პრობლემის განსხვავებულ ფორმაში; ბ) ინდივიდებმა, ჩვეულებრივ, არ იციან ალტერნატიული ფორმებისა და მათი შესაძლო ეფექტის შესახებ; გ) ისინი ისურვებდნენ, რომ მათი უპირატესობები დამოუკიდებელნი ყოფილიყვნენ ფორმისაგან, მაგრამ დ) ხშირად არ არიან დარწმუნებულები, თუ როგორ გადაწყვიტონ გამოვლენილი შეუსაბამობები.“[82]

---

[79] Tversky A., Kahneman D., The Framing of Decisions and the Psychology of Choice, Science, New Series, Vol. 211, No. 4481. (Jan.30, 1981), 453; იხ. <https://www.uzh.ch/cmsssl/suz/dam/jcr:ffffffff-fad3-547b-ffff-ffffe54d58af/10.18_kahneman_tversky_81.pdf> (10.06.2019).

[80] იქვე, იხ. <https://www.uzh.ch/cmsssl/suz/dam/jcr:ffffffff-fad3-547b-ffff-ffffe54d58af/10.18_kahneman_tversky_81.pdf> (10.06.2019).

[81] იქვე, იხ. <https://www.uzh.ch/cmsssl/suz/dam/jcr:ffffffff-fad3-547b-ffff-ffffe54d58af/10.18_kahneman_tversky_81.pdf> (10.06.2019).

[82] იქვე, 457-458; იხ. < https://www.uzh.ch/cmsssl/suz/dam/jcr:ffffffff-fad3-547b-ffff-ffffe54d58af/10.18_kahneman_tversky_81.pdf> (10.06.2019).

„თანმიმდევრულობა არის რაციონალური ქცევის ცნების მხოლოდ ერთი ასპექტი. ამასთან, რაციონალურობის საერთო კონცეფცია მოითხოვს, რომ კონკრეტული შედეგების უპირატესობები და სარგებელი პროგნოზირებდეს კმაყოფილების ან უკმაყოფილების განცდას. ამგვარად, ადამიანი შეიძლება შეფასდეს ირაციონალურად, თუ მისი უპირატესობები ურთიერთგამომრიცხავია ან თუ მისი სურვილები და ანტიპათიები არ ასახავს მის სიამოვნებებსა და ტკივილს. რაციონალურობის წინასწარმეტყველური კრიტერიუმი შეიძლება გამოყენებულ იქნეს არათანმიმდევრული უპირატესობების გადასაწყვეტად. წინასწარმეტყველური ორიენტაცია ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიმღებს, რომ ყურადღება გაამახვილოს მომავალ შემთხვევებზე. ამასთან, წინასწარი განსჯები შეიძლება გამოყენებული იქნას გადაწყვეტილების ფორმის არჩევასთან მიმართებით.“[83] მაშასადამე, ზემოაღნიშნული მსჯელობებიდან გამომდინარეობს, რომ გაუფრთხილებლობისას ადამიანი ირაციონალურად ფასდება მისი ქმედებისა და დამდგარი შედეგის თვალსაზრისით. რადგან რაციონალურობის საერთო კონცეფცია მოითხოვს, რომ კონკრეტული შედეგების უპირატესობები და სარგებელი უნდა პროგნოზირებდეს კმაყოფილების ან უკმაყოფილების განცდას. ამგვარად, ადამიანი შეიძლება შეფასდეს ირაციონალურად, თუ მისი უპირატესობები არის ურთიერთგამომრიცხავი ან თუ მისი სურვილები და ანტიპათიები არ ასახავს მის სიამოვნებასა თუ ტკივილს. აღნიშნული კი გაუფრთხილებლობასთან უშუალო კავშირშია, რადგან გაუფრთხილებლობისას დამდგარი შედეგი უსიამოვნოა მოქმედისათვის.

საინტერესოა ისეთი გადაწყვეტილების მიღების ის საკითხი, რომელიც შეიცავს რისკს ან გაურკვევლობას. „სარისკო გადაწყვეტილებები ისეთი გადაწყვეტილებებია, რომლის დროსაც ალბათობა შესაძლო შედეგებისა არის რეალური ან მოქმედისთვის ცნობილი. გაურკვევლობას ადგილი აქვს მაშინ, როცა გადაწყვეტილების მიმღებმა უნდა შეაფასოს ან გამოიტანოს დასკვნა სხვადასხვა შესაძლო შედეგების თაობაზე.“[84] სწორედ ამ კომპონენტშია შეცდომა გაუფრთხილებლობის დროს. უფრო კონკრეტულად კი, შეცდომა დაშვებულია შესაძლო შედეგების შეფასებისას.

---

[83] Tversky A., Kahneman D., The Framing of Decisions and the Psychology of Choice, Science, New Series, Vol. 211, No. 4481. (Jan.30, 1981), 458; იხ. < https://www.uzh.ch/cmsssl/suz/dam/jcr:ffffffff-fad3-547b-ffff-ffffe54d58af/10.18_kahneman_tversky_81.pdf> (10.06.2019).

[84] Beresford B., Sloper T., Undrestanding the Dynamics of Decision-Making and Choice: A Scoping Study of Key Psychological Theories to Inform The Design and Analysis of the Panel Study, University of New York, January 2008, 15; იხ. <http://www.york.ac.uk/inst/spru/pubs/pdf/decisionmaking.pdf>_(10.06.2019).

„როდესაც გადაწყვეტილების პრობლემის წინაშე აღმოვჩნდებით, ადამიანები ახდენენ ამ პრობლემის გონებრივი, ფსიქიკური გამოსახვის ფორმირებას. პრობლემის გონებრივი, ფსიქიკური მოდელი მოიცავს ორივეს - გადაწყვეტილების პრობლემის შესახებ ინფორმაციასა და გადაწყვეტილების პრობლემის კონტექსტს.“[85]

3.3. ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს არჩევანისა და გადაწყვეტილების პროცესზე

„თითოეულ ადამიანს ახასიათებს ინდივიდუალური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ცნობიერება, რომელიც განპირობებულია საზოგადოებრივი აზრით, პოლიტიკური, ფილოსოფიური, ეთიკური, რელიგიური, სამართლებრივი, ესთეტიკური წარმოდგენებითა და იდეებით.“[86] არჩევანის გაკეთებისა და გადაწყვეტილების მიღებისას არსებობს უამრავი ფაქტორი, რომელიც მხედველობაშია მისაღები და რომელთა როლი აღნიშნულ პროცესებში მეტად მნიშვნელოვანია. ასეთი ფაქტორები შეიძლება იყოს პირის ემოცია, აზროვნება, ინსტიქტი და მორალი. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ემოცია და არჩევანი. „არჩევანის გაკეთებას გააჩნია ორივე, შემეცნებითი და ემოციური კომპონენტები. ზოგად დონეზე, ემოცია და შემეცნება ორივე ინფორმაციის დამუშავების ტიპია, მაგრამ მათ გააჩნიათ განსხვავებული ფუნქციები. ბევრი თეორეტიკოსი განიხილავს ემოციას, როგორც ცალკეული პირების გაფრთხილებას სიტუაციის, მდგომარეობის მნიშვნელოვანი მახასიათებლების შესახებ და მიმართულების, დირექტივის უზრუნველყოფას შემეცნებითი პროცესებისა და ქცევებისათვის. არჩევანთან დაკავშირებით, ადამიანები ფიქრობენ არჩევაზე და გაკეთებული არჩევანის მოსალოდნელ შედეგებზე, მაგრამ დამატებით იქ არსებობს ძლიერი ემოციური ფაქტორები. ადამიანებს გააჩნიათ გრძნობები გადაწყვეტილების შესახებ და მოლოდინებები გრძნობების შესახებ, რომელიც შეიძლება შედეგით დაბოლოვდეს სხვა არჩევანის გაკეთების შემთხვევაში. ეს ემოციები გვეხმარება

[85] Beresford B., Sloper T., Undrestanding the Dynamics of Decision-Making and Choice: A Scoping Study of Key Psychological Theories to Inform The Design and Analysis of the Panel Study, University of New York, January 2008, 17; იხ. <http://www.york.ac.uk/inst/spru/pubs/pdf/decisionmaking.pdf> (01.06.2019).

[86] გოგიჩაიშვილი თ., ზოგადი ფსიქოლოგიის კურსი, თბილისი, 2006, გვ. 19.

სხვადასხვა არჩევანის არსებობისას პრიორიტეტის მინიჭებაში და ამცირებს დასამუშავებელი ინფორმაციის ოდენობას. მეტადრე მოსალოდნელია, რომ ემოციებმა შეასრულონ ფუნქცია დაურწმუნებლობის, გაურკვევლობის და არასრული ცოდნის პირობებში, რომელიც ახასიათებს გადაწყვეტილების მიღების პროცესს, რამდენადაც ისინი ამცირებენ დასამუშავებელი ინფორმაციის ოდენობას."[87]

აღნიშნული გარკვეული ფორმით აღწერს გაუფრთხილებლობას, რადგან მის დროს ადგილი აქვს როგორც გაურკვევლობას, ასევე დასამუშავებელი ინფორმაციის შემცირებას. ამასთან, „ყველა ემოციას გააჩნია ოთხი ასპექტი მაინც. პირველი ასპექტი არის პერსონალური გამოცდილება - ემოციის ის მახასიათებელი, რომელსაც ადამიანი გრძნობს, იცის და შეუძლია დაახასიათოს სიტყვიერად. მეორე არის ფიზიოლოგიური ან სხეულებრივი ცვლილებები, რომელსაც ადგილი აქვს ემოციის დროს, როგორიცაა ცვლილებები სისხლის წნევაში, პულსი, სუნთქვა. მესამე ასპექტია ემოციური ადამიანის ქცევა - როგორ მოქმედებს ის და რას აკეთებს. მეოთხე ასპექტია მოტივაცია, რაც ემოციური ორგანიზმისთვის ასევე მიზნისკენაა მიმართული."[88]

ფიქრი/აზროვნება. „ფსიქოლოგიაში აზროვნება აღქმასა და მეხსიერებასთან ერთად შემეცნებით პროცესად ითვლება. ფართო გაგებით, აზროვნება ადამიანის გამოცდილებისათვის ახალ სიტუაციაში ორიენტაციის უნარია, ვიწრო მნიშვნელობით კი, აზროვნება ახალი ამოცანის გადაწყვეტის უნარია."[89] „შეგნებული ფიქრი, აზროვნება არის ერთადერთი ნაირსახეობა, რომელსაც ჩვენ შეგვიძლია თვითანალიზის შესაბამისად დავაკვირდეთ. თუ ფიქრის, აზროვნების პროცესი გაუცნობიერებელია, ჩვენ მას ვერ შევიგნებთ. საეჭვოა, იმის თქმა, რომ ყველა ფიქრის, აზროვნების პროცესი შეგნებულია. ფიქრის პროცესი არ არის ყოველთვის მკვეთრად განსაზღვრული ან ცნობიერების მაღალ დონეზე არსებული."[90]

---

[87] Beresford B., Sloper T., Undrestanding the Dynamics of Decision-Making and Choice: A Scoping Study of Key Psychological Theories to Inform The Design and Analysis of the Panel Study, University of New York, January 2008, 25; იხ. <http://www.york.ac.uk/inst/spru/pubs/pdf/decisionmaking.pdf> (01.06.2019).

[88] Sartain A. Q., North A.J., Strange J. R., Chapman H. M., PSYCHOLOGY: Understanding Human Behavior,1958,68-69; იხ. <http://ia600302.us.archive.org/20/items/psychologyunders033255mbp/psychologyunders033255mbp.pdf> (05.06.2019).

[89]აზროვნება და აზროვნების უნარი; იხ. <https://docs.google.com/viewer?a=v&pid=sites&srcid=ZGVmYXVsdGRvbWFpbnxwc3lnZTIwMTF8Z3g6YmI0YTdkOTdmYTEwZTZk> (29.06.2019).

[90] Sartain A. Q., North A.J., Strange J. R., Chapman H. M., PSYCHOLOGY: Understanding Human Behavior, 1958 ,259; იხ.

„არსებობს ინდიკატორები, რომელიც მიგვითითებს, რომ არსებობს შეუცნობელი ფიქრი, აზროვნება ან სულ მცირე, შეუგნებელი ფაქტორები ფიქრსა და აზროვნებაში. მაგალითად, ზოგჯერ გამომგონებლები ამბობენ, რომ პრობლემის გადაწყვეტა უეცრად მოხდა, იმ დროს, როდესაც ისინი ამაზე არ ფიქრობნენ. სავსებით შესაძლებელია, რომ ისინი შეუგნებლად მუშაობდნენ (ფიქრობდნენ) პრობლემაზე."[91]

პრობლემის გადაწყვეტა. „ძნელია იმის თქმა, თუ რა არის პრობლემა. მისი გაგება შეიძლება იმ პირის თვალთახედვიდან გამომდინარე, რომელსაც ეს პრობლემა გააჩნია. სუბიექტურად ის მიჩნეულია, როგორც ხარვეზი, თავისუფალი ადგილი, გაურკვეველი, ბუნდოვანი ურთიერთობა, რაღაც, რასაც მოგვარება ესაჭიროება. პრობლემის გადაწყვეტაში თავად პრობლემა გვაძლევს ფიქრის, აზროვნების მიმართულებას მოცემულია."[92] „პრობლემის გადაჭრა დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე. ერთ-ერთი ფაქტორია, თუ როგორაა წარმოდგენილი თავად პრობლემა. პრობლემის გადაწყვეტის დამახასიათებელი თვისებაა, რომ ფორმა, როგორც ჩვენ განვსაზღვრავთ პრობლემას და რაზეც ვფიქრობთ, არის ის პრობლემა, რომელსაც გააჩნია დიდი გავლენა, შევძლევთ მის გადაჭრას თუ ვერა." [93] „მეორე ფაქტორი პრობლემის გადაჭრაში არის მოტივაციის ხარისხი. ამასთან, ზოგიერთი მოტივაცია შესაძლოა იყოს სასარგებლო, ზოგიერთი კი, საზიანო. თანმიმდევრულად ფიქრი, აზროვნება ძნელია, როდესაც საჭიროა მოქმედებაზე სწრაფად გადასვლა. დაძაბული მდგომარეობის პირობებში ჩვენი ფიქრის, აზროვნების პროცესები მიდრეკილნი არიან გახდნენ დეზორგანიზებულნი, რის შედეგადაც ნაკლებად მოსალოდნელია პრობლემის გადაწყვეტა. მეორე მხრივ, თუ მოტივაცია სუსტია, ჩვენ დიდხანს ვერ შევძლებთ უდრეკები დავრჩეთ პრობლემის გადაჭრის მცდელობებში. სხვა ფაქტორი,

---

<http://ia600302.us.archive.org/20/items/psychologyunders033255mbp/psychologyunders033255mbp.pdf> (05.06.2019).

[91] Sartain A. Q., North A.J., Strange J. R., Chapman H. M., PSYCHOLOGY: Understanding Human Behavior, 1958, 271; იხ. <http://ia600302.us.archive.org/20/items/psychologyunders033255mbp/psychologyunders033255mbp.pdf> (05.06.2019).

[92] იქვე, 260; იხ. <http://ia600302.us.archive.org/20/items/psychologyunders033255mbp/psychologyunders033255mbp.pdf> (05.06.2019).

[93] იქვე, 270; იხ. <http://ia600302.us.archive.org/20/items/psychologyunders033255mbp/psychologyunders033255mbp.pdf> (05.06.2019).

რომელიც გავლენას ახდენს პრობლემის გადაწყვეტაზე, არის ადრე ნასწავლი რეაქციის გადაცემა.“ [94]

ინსტიქტი. „ინსტიქტი არის შედარებით მარტივი და პირდაპირი პასუხი გარკვეულ მასტიმულირებულ საგანზე ან პირობაზე. კონკრეტული გზა, რითაც რეაქციული სისტემა ფუნქციონირებს, დამოკიდებულია მასტიმულირებელ გარემოებებზე.“[95] „ინსტიქტი მოიცავს უფრო ფართო შეგნებულ ფუნქციას, ვიფრე რეფლექსებია. რეფლექსური ქმედება გულისხმობს უფრო განსაზღვრული და დაფიქსირებული რეაქციის სისტემის ფუნქციონირებას, ვიდრე ინსტიქტი.“[96] „ინსტიქტურ ქცევასა და ემოციას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. მიჩნეულია, რომ ემოცია ინსტიქტური წარმოშობისაა და ადგილი აქვს მაშინ, როცა ინსტიქტები შეჩერებულია, დაბრკოლებული ან კონფლიქტშია, მაშინ როცა, მეორეს მხრივ, მიჩნეულია, რომ ემოცია ინსტიქტების თანაფარდობითობაა გარკვეული ფორმით.“[97] „ემოცია უეცრად წარმოიქმნება გარკვეულ მიზეზებზე, რომელშიც სხვადასხვა ორგანული პროცესი ფუნქციონირებს, რომელიც თავის მხრივ, ხელს უწყობს ახალი მოქმედების დაუყოვნებლივ შესრულებას.“[98] „ემოციები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც საქმე ეხება რისკის აღქმას. კავშირი აღქმულ რისკსა და აღქმულ სარგებელს შორის დაკავშირებულია ადამიანის საერთო ემოციურ შეფასებასთან რისკებთან მიმართებით. თუ მოქმედება პირის მიერ არის „მოწონებული“, ადამიანი მიდრეკილია, რომ რისკი უმნიშვნელოდ, მიიჩნიოს, ხოლო თუ მოქმედება არ არის „მოწონებული“, პირის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღქმულია, როგორც მაღალი რისკის და დაბალი სარგებლის მქონე.“[99] გაუფრთხილებლობა სწორედაც აღქმულ რისკსა და აღქმულ სარგებელს შორის ურთიერთობის/კავშირის შეფასების შეცდომას წარმოადგენს.

---

[94] Sartain A. Q., North A.J., Strange J. R., Chapman H. M., PSYCHOLOGY: Understanding Human Behavior, 1958, 271-272; იხ. <http://ia600302.us.archive.org/20/items/psychologyunders033255mbp/psychologyunders033255mbp.pdf>_(05.06.2019).

[95] Kantor J.R., A Functional Interprettation of Human Instincts, University of Chicago, 1920; იხ. <http://www.brocku.ca/MeadProject/Kantor/Kantor_1920_a.html>_(08.06.2019).

[96] იქვე; იხ. <http://www.brocku.ca/MeadProject/Kantor/Kantor_1920_a.html>(08.06.2019).

[97] იქვე; იხ. <http://www.brocku.ca/MeadProject/Kantor/Kantor_1920_a.html>(08.06.2019).

[98] იქვე; იხ. <http://www.brocku.ca/MeadProject/Kantor/Kantor_1920_a.html>(08.06.2019).

[99] Ofsti L., supervisor: Anders Gade, Decision Making The Significance of Cognition, Emotion, and Impulsivity, University of Copenhagen Department of Psychology; იხ. <http://gade.psy.ku.dk/Specialer/2010LinnSpeciale.pdf> (12.06.2019).

„დ. უზნაძის მიხედვით, მიზნის განხორციელიელებაზე მიმართული აქტივობის შეფერხება იწვევს ემოციური განცდების აღმოცენებას. მიზნის მიღწევის აქტივობის ხელშემშლელი ან ხელშემწყობი გარემოებები განსაზღვრავენ, შესაბამისად, ემოციების უარყოფით ან დადებით ნიშანს. უზნაძესთან, განცდის პოლარობა/ნიშანი განისაზღვრება აქტივობის შეფერხებით ან მისი დაუბრკოლებლად მიმდინარეობით „ .... აქტივობასთან დაკავშირებული სიამოვნება უშუალოდ მიზანთან მიახლოების პროცესთან დაკავშირებული სიამოვნებაა, ყოველ განხორციელებულ მიზანთან დაკავშირებული სიამოვნება კი აქტივობასთან დაკავშირებული სიამოვნებაა.“[100]

„აქტივობას საფუძვლად უდევს განწყობა, რომელიც ყოველთვის როდი გადადის პირდაპირ აქტივობაში, ქცევაში, არამედ აღძრავს ემოციურ განცდას, ემოციას (შიშს), რომელიც გარკვეული ქცევის იმპულსურად განიცდება, ასევე ჩნდება ყოველი იმპულსური ქცევა... ნორმალური ემოცია ჩვენი ყოველდღიური ქცევის ორგანიზაციის საწყისს წარმოადგენს. მაგრამ ... არაჩვეულებრივი ინტენსივობის ემოცია... გარკვეული ქცევის ზეძლიერ იმპულსს მოიცავს და სწორედ ამის გამო გამორიცხავს მეორე ემოციის აღმოცენების შესაძლებლობას. ამიტომ იგი შეიძლება გადაიქცეს ქცევის არა ორგანიზაციის, არამედ დეზორგანიზაციის საწყისად.“ [101]

„ემოციასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ნეირომეცნიერების დასკვნით, რომ ემოციები უზრუნველყოფენ მნიშვნელოვან ხელმძღვანელობას/მითითებას ადამიანის გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ემოციები განსაკუთრებით გააქტიურებულია, როდესაც გადაწყვეტილების მიმღები „არასრული ინფორმაციის, რისკის, ან არჩევანის (სოციალურ კონტექსტში)“ წინაშე დგას. როდესაც ადამიანები ცდილობენ გამოიყენონ კონტროლირებული პროცესები შეფასებულ რისკებთან ან გაურკვევლობასთან დაკავშირებით, ისინი იმავდროულად ემოციურ დონეზე რეაგირებენ რისკების წინაშე და ასეთმა რეაქციამ შეიძლება ძირითადი ეფექტი იქონიოს ქცევაზე. ემოციები ასრულებენ კრიტიკულ როლს პერსონალური და საზოგადოებრივი საფრთხეების გააზრებაში.“[102] „ადამიანი, რომელიც სარისკო

---

[100] ნადარეიშვილი ვ., დევიაცია, დაძაბულობის თეორიები და წონასწორობის განწყობისეული მოდელი, საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე N1, თბ. 2008, 17.

[101] იქვე, 16-17.

[102] Rapp G. C., Wreckage of Recklessness, *Washington University Law Review,*Vol. 86, Issue 1, (2008), 168; იხ. <http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/walq86&div=6&collection=journals&set_as_c

სიტუაციის წინაშე დგას, სადაც რისკის ფაქტობრივ დონესთან დაკავშირებით ერთგვარი გაურკვევლობებია, შეიძლება იღებდეს გადაწყვეტილებებს, რომელიც ემოციის შედეგია, ვიდრე შეგნების.“ [103] მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ თვითიმედოვნების დროს მოქმედი ემოციურია.

მორალი. „მორალი არის გარკვეული ქცევის ნორმები, რომელიც ჩამოყალიბებულია გრძელვადიან პერსპექტივაში, მიმდებარე პირობების გავლენის ქვეშ, გარკვეული თვალსაზრისით, ქმნის იდეოლოგიურ ნორმებს, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანის თანამშრომლობის განვითარებას. იგი ასევე მიზნად ისახავს საზოგადოებაში არსებულ სუბიექტის ინდივიდუალიზმის თავიდან აცილებას.“[104] „მორალი არის კულტურაზე, რელიგიაზე ან ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაზე დაფუძნებული ადამიანთა ქცევის წესების სისტემა. მორალს ხშირად განმარტავენ როგორც „შინაგან ვალდებულებას“, რომელსაც სინდისი განსაზღვრავს.“[105] „მორალური გრძნობები წარმოიშობა მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივი ურთიერთობების საფუძველზე. საზოგადოებრივ ურთიერთობებში არის მოქმედებები, რომელნიც ზნეობრივად ითვლება, მეორე მხრივ - არის მოქმედებები, რომელნიც უზნეოდ ითვლება. ეს კი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია ამ მოქმედებათა საზოგადოებრივი ღირებულება; მორალური გრძნობები წარმოადგენს ადამიანის ქცევის ამ ზნეობრივი ღირებულების ან მისი დარღვევის განცდას გრძნობის სახით: მაგალითად, სირცხვილის, ზნეობრივი მოვალეობის, სინანულის, სინდისის ქენჯნის, თანაგრძნობა-სიბალულის გრძნობა და ა.შ..“[106] „ადამიანები ჩვეულებრივ არ არიან ჩართულნი საზიანო ქცევაში, სანამ ისინი არ გაამართლებენ თავიანთი ქმედებების მორალურობას. მორალური გამართლების ამ პროცესში, საზიანო ქცევა პირადად და საზოგადოდ მიღებულია, წარმოჩენილია, როგორც სოციალურად ღირსეული და მორალური მიზნის მქონე. შემდგომში ადამიანებს შეუძლიათ იმოქმედონ მორალური იმპერატივის მიხედვით და

---

ursor=18&men_tab=srchresults&terms=%28difference%20AND%20between%20AND%20recklessness%20AND%20and%20AND%20negligence%29&type=matchall#170> (20.06.2019).

[103] Rapp G. C., Wreckage of Recklessness, *Washington University Law Review,*Vol. 86, Issue 1, (2008), 169; იხ. <http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/walq86&div=6&collection=journals&set_as_cursor=18&men_tab=srchresults&terms=%28difference%20AND%20between%20AND%20recklessness%20AND%20and%20AND%20negligence%29&type=matchall#170> (20.06.2019).

[104] ფსიქოლოგია და ფსიქიატრია; იხ. <https://ka.seamonkeyworship.com/282-morality.html> (29.06.2019).

[105] ხუბუა. გ., სამართლის თეორია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2015,. გვ. 76.

[106] მერაბიშვილი გ. ზოგადი და იურიდიული ფსიქოლოგია, თბილისი 1998 წელი, გვ. 137-138.

სხვებისთვის ზიანის მიყენებისას შეინარჩუნონ საკუთარ თავზე მორალურად მოქმედების წარმოდგენა.“ [107] „მორალური სტანდარტები არ ფუნქციონირებს, როგორც ქცევის ფიქსირებული შიდა რეგულატორები და თუ არ გააქტიურნენ, არ ფუნქციონირებს თვითრეგულირების მექანიზმები. არსებობს მრავალი ფსიქოსოციალური მანევრი, რომლებითაც მორალური თვითსანქციები შეიძლება გამოეყოს არაადამიანურ ქცევას. თვითსანქცირების შერჩევითი აქტივაცია და გამიჯვნა უშვებს ერთსა და იმავე მორალური სტანდარტების მქონე ადამიანების ქცევის სხვადასხვა ტიპს.“[108] „მორალური არჩევანი სოციალურად არსებული და განხორციელებულია, იგი დამოკიდებულია ცხოვრების პირობებზე, სადაც ადამიანები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ. მაშასადამე, სოციალურ-კოგნიტური თეორია იძენს ურთიერთმოქმედებით პერსპექტივას მორალთან მიმართებით. მორალური ქმედებები არის პიროვნული და საზოგადოებრივი გავლენების ურთიერთქმედების პროდუქტები.“[109]

„ზნეობრივ აზროვნებასა და ქცევას შორის ურთიერთობის განმარტება უნდა განსაზღვრავდეს ფსიქოლოგიურ მექანიზმებს, რომლითაც მორალური სტანდარტები გადადის მოქმედებებში. სოციალურ-კოგნიტურ თეორიაში, კანონისდამრღვევი ქცევა რეგულირდება ორი ძირითადი სანქციით: საზოგადოებრივი სანქციებითა და გათავისებული თვით-სანქციებით. ორივე კონტროლის მექანიზმი მოქმედებს წინასწარ. ადამიანები თავს იკავებენ ქცევის წესების დარღვევისაგან, ვინაიდან ისინი უფრთხიან საზოგადოების მხრიდან გაკიცხვას და სხვა არასასიამოვნო შედეგებს. თვითკონტროლის შემთხვევაში, ისინი იცავენ საზოგადოებრივ წესებს, რადგანაც ეს იწვევს თვითკაყოფილებასა და თვითპატივისცემას, ასევე თავს იკავებენ ქცევის წესების დარღვევისაგან, ვინაიდან ასეთ ქცევას მოჰყვება თვითგვემა.“ [110]

---

[107] Bandura A., Selective Moral Disengagement in the Exercise of Moral Agency, *Journal of Moral Education, Vol. 31, No. 2, 2002,* 103;
იხ.<https://web.stanford.edu/~kcarmel/CC_BehavChange_Course/readings/Additional%20Resources/Bandura/bandura_moraldisengagement.pdf>_(12.06.2019).

[108] იქვე, 102;
იხ.<https://web.stanford.edu/~kcarmel/CC_BehavChange_Course/readings/Additional%20Resources/Bandura/bandura_moraldisengagement.pdf>(12.06.2019).

[109] Bandura A., Selective Moral Disengagement in the Exercise of Moral Agency, *Journal of Moral Education, Vol. 31, No. 2, 2002,* 115;
იხ.<https://web.stanford.edu/~kcarmel/CC_BehavChange_Course/readings/Additional%20Resources/Bandura/bandura_moraldisengagement.pdf>_(12.06.2019).

[110] Bandura A., SOCIAL COGNITIVE THEORY OF MORAL THOUGHT AND ACTION, Stanford University, In W. M. Kurtines& J. L. Gewirtz, (Eds.), *handbook of moral behavior and development*

„ქმედება უფრო მეტად შეესაბამება მორალურ სტანდარტებს, როცა კანონის დამრღვევი ქცევა არ არის ადვილად თვითშემწყნარებელი და შეფასებითი რეაქციები თავსებადია პიროვნულ სტანდარტებთან. საერთო მორალური ნორმების პირობებში, სოციალურად მიღებული ქმედებები თვითსიამაყის წყაროა და სოციალურად დასჯადი აქტები კი - თვითდაგმობილი. პირად და სოციალურ ზეგავლენებს შორის თავსებადობის გამტკიცებისათვის, ადამიანები ხშირად ირჩევენ მოკავშირეებს, რომ გაუზიარონ ქცევის მსგავსი სტანდარტები და ასე უზრუნველყონ სოციალური მხარდაჭერა საკუთარი თვითშეფასების სისტემისათვის.“ [111]

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ გაუფრთხილებლობის დროს მორალური სტანდარტი მუშაობს და გვაქვს სახეზე თვითდაგმობა.

„ქცევა განსაკუთრებით მიდრეკილია გარე ზემოქმედებისკენ ძლიერი საკომპენსაციო შიდა სტანდარტების არარსებობის დროს. ადამიანები, რომლებიც არ არიან პიროვნული სტანდარტების ერთგულნი, იღებენ პრაგმატულ ორიენტაციას, სიტუაციას არგებენ ქცევას.“ [112]

„ქცევის თვითრეგულაცია მოქმედებს მორალური სტანდარტების გამოყენებით. თვითსანქციები შეიძლება შესუსტდეს ან გაბათილდეს მორალური მსჯელობის გამართლებით და სოციალური გარემოებებით. რადგან თითქმის ყველა ქცევა შეიძლება მორალური თვალსაზრისით გამართლდეს, იმავე მორალურმა პრინციპებმა შეიძლება მხარი დაუჭიროს სხვადასხვა ქმედებებს და იგივე ქმედებები შეიძლება დაცული იყოს სხვადასხვა მორალური პრინციპების საფუძველზე. მორალური დასაბუთება არის ერთ-ერთი მექანიზმი, რომელიც გავლენას ახდენს მორალური სტანდარტების ფუნქციონირებაზე ქვევის რეგულაციაში.“ [113]

(Vol. 1), 19; იხ. <https://pdfs.semanticscholar.org/88f4/a94e385718f20c72d498f9198fd8c17d3fff.pdf> (12.06.2019).

[111] იქვე, 21; იხ. <https://pdfs.semanticscholar.org/88f4/a94e385718f20c72d498f9198fd8c17d3fff.pdf> (12.06.2019).

[112] Bandura A., Selective Moral Disengagement in the Exercise of Moral Agency, *Journal of Moral Education, Vol. 31, No. 2, 2002,* 115;
იხ.<https://web.stanford.edu/~kcarmel/CC_BehavChange_Course/readings/Additional%20Resources/Bandura/bandura_moraldisengagement.pdf>

[113] იქვე; იხ. <https://pdfs.semanticscholar.org/88f4/a94e385718f20c72d498f9198fd8c17d3fff.pdf> (12.06.2019).

თავი IV. მოტივაცია და განწყობის მნიშვნელობა გაუფრთხილებლობასთან მიმართებით

ადამიანის ნებისმიერი ქმედება განპირობებულია განსაზღვრული მოტივით და მიმართულია გარკვეული მიზნის მისაღწევად. ნებისმიერი ქმედების შეფასება მოტივისა და მიზნის შესწავლის გარეშე, პრაქტიკულად შეუძლებელია. ეს მოთხოვნები ვრცელდება სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის ქცევაზე. შესაბამისად, საინტერესოა გავაანალიზოთ მოტივაციისა და განწყობის მნიშვნელობა გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით.

4.1 ქმედებისა და ქცევის მოტივაცია

„მოტივი არის პირის შინაგანი მამოძრავებელი გაცნობიერებული ძალა, რომელიც მას უქმნის დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას და რომლითაც ხელმძღვანელობს იგი დანაშაულის ჩადენისას. მიზანი არის ქმედების სასურველი შედეგი, რომლის მიღწევაც სურს სუბიექტს. განსაზღვრული მოთხოვნილებიდან გამომდინარე, ადამიანის განიცდის ჯერ შეუცნობელ, ხოლო შემდეგ კი - გაცნობიერებულ სწრაფვას მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ამის საფუძველზე ფორმირდება ქმედების მიზანი. ამრიგად, ქმედების მოტივის საფუძველზე აღმოცენდება მიზანი.“[114] „ყველაფერს აქვს თავისი მიზეზები და ცხადია, ადამიანის ნებისყოფა მიზეზობრიობისაგან თავისუფალი არ არის. გადაწყვეტილების გამოტანისას სუბიექტი რაღაც მოტივით ხელმძღვანელობს. ნებისმიერი მოქმედება მოტივით განსაზღვრული მოქმედებაა, რადგანაც გადაწყვეტილების მიღებას მოტივი განსაზღვრავს. მოტივი არის ფსიქოლოგიური საფუძველი, რომლის ნიადაგზე

[114] ლომსაძე მ., საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა), გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2012, გვ. 44-45; იხ. <http://www.sjuni.edu.ge/ebiblioteka/images/books/saqartvelos%20sisxlis%20samart.%20zogadi%20naw-lomsaze.pdf>(13.06.2019).

ადამიანი განზრახულ, ნებისმიერ მოქმედებას შეასრულებს.“[115] „ყოველი თავისუფალი ქცევა მოტივირებულია, მაგრამ არა პირიქით. თუკი მოქმედება ხორციელდება ფსიქიკური იძულებით, მაშინ მოქმედება მოტივირებულია, მაგრამ არ არის თავისუფალი.“ [116] „დანაშაულებრივი ქცევა ადამიანის ნებისმიერი აქტიურობის ერთ-ერთი სახეა. ყოველი ქცევა პრობლემურ ვითარებაში, როგორც წესი, ხორციელდება მოტივაციის საფუძველზე. მოტივაცია ადამიანის შინაგანი იდეალური მოქმედებაა, რაც წინ უსწრებს ნებისმიერ პრაქტიკულ მოქმედებას, აზროვნების საშუალებით კანონზომიერად განსაზღვრავს მის შინაარსსა და მიმართულებას.“[117] „მოტივაცია ადამიანის ყოველგვარი მოქმედებისა და ქცევის საიდუმლოებათა გასაღებია. ყოველ კონკრეტულ ვითარებაში მისი საშუალებით ყალიბდება: მოთხოვნილება, ინტერესი, მიზანი, მოტივი, რწმენა, გადაწყვეტილება, შესაბამისი შინაგანი ცვლილებები და განწყობა, რაც შემდგომ საგნობრივად და თვალსაჩინოდ გარეთ მიმართულ პრაქტიკულ მოქმედებაში, ქცევასა და მის შედეგებში ვლინდება.“ [118]

„მოტივაციის მიზანია მოცემული ვითარებისათვის სუბიექტის მიერ ყველაზე მიზანშეწონილი და გამართლებული მოქმედების დასაბუთება, რაც ყოველთვის წინ უძღვის რა ნებისმიერ პრაქტიკულ მოქმედებას, განსაზღვრავს მის მიმართულებასა და შინაარს.“ [119]

„მოტივაცია, როგორც სუბიექტის შინაგანი იდეალური მოქმედება მსჯელობებისა და დასკვნების საფუძველზე ხორციელდება, რომლის მთავარი შედეგი საგნებისა და მოვლენების შესახებ გარკვეული აზრისა და მისი რწმენის ჩამოყალიბებაა. შემდეგ ეს საფუძვლად ედება შესაბამის პრაქტიკულ მოქმედებას, ქცევასა და საქმიანობას. მოტივაცია ყოველთვის მსჯელობებისა და დასკვნების საშუალებით ხორციელდება, ხოლო მსჯელობებსა და დასკვნებს, როგორც წესი, ყოველთვის თან ახლავს შესაბამისი რწმენის ჩამოყალიბება. ამრიგად, რწმენას, როგორც მოტივს, ადამიანის უზენაეს

[115] მერაბიშვილი გ., ზოგადი და იურიდიული ფსიქოლოგია, თბილისი 1998, გვ. 142.

[116] დვალიძე ი., სადისერტაციო ნაშრომი „მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე“, 2007, გვ. 16-17.

[117] კიკნაძე დ. „დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის სისტემური გაგებისთვის, ალმანახი 2000 N13, სისხლის სამართლის და კრიმინოლოგიის პრობლემები, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 123.

[118] იქვე.

[119] იქვე, გვ. 124.

მამოძრავებელ ძალას, აყალიბებს მოტივაცია მსჯელობებისა და დასკვნების საფუძველზე.“[120]

„მოტივაციის პროცესში რწმენის ჩამოყალიბების მთავარი ფაქტორებია მოთხოვნილებები და ინტერესები, რისი მოთხოვნილებაც აქვთ ადამიანებს, რაც აინტერესებთ, ისინი უფრო სწრაფად და ადვილად რწმუნდებიან მისი განხორციელების აუცილებლობაში. ინტერესი, როგორც წესი, მოთხოვნილებიდან იღებს სათავეს, მაგრამ მისი ჩამოყალიბებისათვის საჭიროა მოტივაცია და გარკვეული რწმენა. თავის მხრივ, ინტერესი თავად წარმოადგენს რაიმე მნიშვნელობის რწმენას. ამასთან, მით უფრო დიდია მისი, როგორც მოქმედების აღმძვრელის, ადამიანებზე ზემოქმედების ძალა, რაც უფრო დიდია მნიშვნელობა, რომელიც სუბიექტს სწამს, ე.ი. რწმენა ისევ რწმენისაგან წარმოიშობა.“[121]

„ადამიანის ნებისმიერ მოქმედებას, ქცევას ყოველთვის წინ უძღვის რაიმე მოთხოვნილების წარმოშობა, რაც, პირველ რიგში, აზროვნების პროცესს აღძრავს და მის ობიექტად იქცევა. პრობლემურ ვითარებაში გაცნობიერებული მოთხოვნილება პირდაპირ და უშუალოდ არ გადადის მოქმედებაში. სანამ ინდივიდი მოთხოვნილების საპასუხო პრაქტიკულ მოქმედებას მიმართავდეს, იგი ახორციელებს შინაგან იდეალურ მოქმედებას - მოტივაციის პროცესს, რომლის შედეგად ყალიბდება მოცემულ ვითარებაში ამ და არა სხვა მოქმედების მიზანშეწონილობის შესაძლებლობისა და აუცილებლობის რწმენა, ანუ მოტივი.“[122]

„მოქმედება, რომლის მოტივიც წარმოიშობა მოტივაციის პროცესში, ე.ი., რომელიც მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში მიზანშეწონილად და აუცილებლად იქნა ცნობილი, შესაძლებელია მოტივაციის გამომწვევი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ან მისგან თავის შეკავებას გულისხმობდეს. მოტივაცია ყოველთვის მისი აღმძვრელი მოთხოვნილების დაკმაყოფილების სასარგებლოდ არ მთავრდება, რადგან ამ პროცესში, მისი აღმძვრელი მოთხოვნილების გარდა, სხვა მოთხოვნილებები და სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური ფაქტორებიც მონაწილეობს. მათ შორის ისეთებიც, რომლებიც მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ თავის შეკავებას მოტივაციის აღმძვრელი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაგან.“ [123]

---

[120] კიკნაძე დ. „დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის სისტემური გაგებისთვის, ალმანახი 2000 N13, სისხლის სამართლის და კრიმინოლოგიის პრობლემები, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 124-125.

[121] იქვე, გვ. 125.

[122] იქვე.

[123] იქვე.

„მოტივაციის პროცესში ადამიანი მეტ-ნაკლებად აცნობიერებს მოთხოვნილების დაკმაყოფილების მოქმედების ყველა შესაძლო სუბიექტურ და ობიექტურ შედეგებს, მათთან დაკავშირებულ სხვა მოთხოვნილებებს, ინტერესებს, ღირებულებით ორიენტაციებს, მისწრაფებებს, მიზნებს, მოტივებს, განწყობებს, გრძნობებს, ემოციებს და ა.შ.“ [124]

„უნდა აღინიშნოს, რომ მოტივაცია, მოტივი და მიზანი მატერიალურად არსებული, ასე ვთქვათ, ჩვენი გრძნობის ორგანოებით აღქმადი მოვლენები არაა. ისინი პირობითი არსის მქონენი არიან, რომლებიც ჩვენი აზროვნების დამხმარე კონსტრუქტებად გვევლინებიან, ანუ ემპირიზმის ენაზე რომ ვთქვათ, ისინი ჰიპოთეტური კონსტრუქტებია.“ [125]

„აზროვნება და ცნობიერება, მოტივის უბრალო გამტარს არ წარმოადგენენ. ისინი აქტიურად მონაწილეობენ მის ფორმირებაში, როდესაც მოთხოვნილება ცნობიერების ფაქტად იქცევა. თავის მხრივ, ცნობიერებას სინათლე და გარკვეულობა შეაქვს მის შინაარსში, ურთიერთობებსა და დამოკიდებულებებში, მოჰყავს იგი მოქმედების სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებთან, მის საფუძველზე კი საბოლოოდ წარმოიშობა სუბიექტისათვის მოცემულ სიტუაციაში ყველაზე მიზანშეწონილი, შესაძლებელი და აუცილებელი მოქმედების მოტივი, ანუ ამ და არა სხვა მოქმედების აუცილებლობის რწმენა. ყოველ კონკრეტულ ვითარებაში ამ და არა სხვა მოქმედების აუცილებლობის შინაგანი რწმენა ნებისმიერი მოქმედების მოტივის არსებითი ნიშანია. მის საფუძველზე მიიღება პრაქტიკული მოქმედების გადაწყვეტილება და ყალიბდება შესაბამისი განწყობა, რითაც მთავრდება მოტივაციის პროცესი. მთელი ამ პროცესის საბოლოო შედეგია მოტივირებული მოქმედების განწყობის ჩამოყალიბება, რაც, თავის მხრივ, გათვალისწინებულ ვითარებაში პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნილებას წარმოშობს და უშუალოდ განიცდის რეალიზაციას გარე სამყაროზე მიმართული მოქმედების სახით.“ [126] „ნებისყოფის აქტი, როგორც ცნობილია, გადაწყვეტილების მიღებაა, ხოლო მიღებული გადაწყვეტილება აუცილებლობით სრულდება, თუ იგი ყველა ფაქტორის წინასწარ გათვალისწინებითა და საქმის ცოდნითაა

---

[124] კიკნაძე დ. „დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის სისტემური გაგებისთვის, ალმანახი 2000 N13, სისხლის სამართლის და კრიმინოლოგიის პრობლემები, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 128.

[125] დვალიძე ი., სადისერტაციო ნაშრომი „მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე“, 2007, გვ. 28.

[126] კიკნაძე დ. „დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის სისტემური გაგებისთვის, ალმანახი 2000 N13, სისხლის სამართლის და კრიმინოლოგიის პრობლემები, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 128.

მიღებული. გადაწყვეტილების შესრულების პროცესში ზოგჯერ შესაძლებელია ისეთი ფაქტორი გამოჩნდეს, რომელიც თავის დროზე სუბიექტის მიერ გათვალისწინებული არ იყო. ასეთ შემთხვევაში სუბიექტი კვლავ უბრუნდება მოტივაციის პროცესს, საჭირო შესწორება შეაქვს მიღებულ გადაწყვეტილებაში ან ტოვებს მას წინანდელ მდგომარეობაში.“ [127]

„ამრიგად, ნებისმიერი მოქმედების მოტივაცია, როგორც შინაგანი იდეალური მოქმედება, რაიმე მოთხოვნილების გაცნობიერებით იწყება, რაც შემდეგ თანმიმდევრობით აყალიბებს გარეთ მიმართული პრაქტიკული მოქმედების დინამიკური ფაქტორების ფუნქციონალურ სისტემას, რომლის ძირითადი კომპონენტებია: მოთხოვნილება, ინტერესი, მიზანი, მოტივი-რწმენა და განწყობა. აღნიშნული კომპონენტები, თავის მხრივ, ყალიბდება ქვესისტემის სახით, საკუთარი მოტივაციის საფუძველზე, რომლებსაც სპეციფიკური კომპონენტები და ფაქტორთა სისტემები გააჩნიათ, მაგ: მოთხოვნილება აერთიანებს რაიმე საჭიროების განცდას და მისი დაკმაყოფილების საგანს; ინტერესი - მოთხოვნილებას, მისი დაკმაყოფილებისა და დაკმაყოფილების საშუალებათა მნიშვნელობას; მიზანი - მოთხოვნილებას, ინტერესს და შესაბამის მოქმედებას; მოტივი - რწმენა აერთიანებს საბოლოო მიზანს, მისი მიღწევისათვის აუცილებელი მოქმედების შესახებ აზრის ჭეშმარიტების რწმენას, შესაბამის გადაწყვეტილებას და პრაქტიკული მოქმედების განწყობას. ყოველი შემდგომი ეტაპი წინა ეტაპს მოიცავს მოხსნილი და შემონახული სახით. აღნიშნულ კომპონენტებს შორის განსაკუთრებულ ფუნქციას რწმენა ასრულებს. იგი ნებისმიერი მოქმედების მოტივაციის ყველა ეტაპზე მოტივის როლში გამოდის, რაც საბოლოოდ გადაწყვეტილების მიღებასა და განწყობის ჩამოყალიბებას განაპირობებს. ამიტომაც რწმენას ჩვენ განვიხილავთ როგორც ნებისმიერი მოქმედების მოტივს, უზენაეს მამოძრავებელ ძალას. მის გარეშე არ არსებობს მოტივაციის ეტაპი, რაიმე გადაწყვეტილება და მოქმედება. ადამიანისთვის ყველაფერი არსებობს იმდენად და იმ სახით, რამდენადაც და რა სახითაც მას სწამს მათი არსებობა. რწმენას თან ახლავს გადაწყვეტილება, როგორც მისი თვისება, ამიტომაც გადაწყვეტილებას ჩვენ ცალკე ეტაპად არ გამოვყოფთ და ვაერთიანებთ მას რწმენაში, როგორც მოტივში. ამრიგად, მოტივაცია პრობლემურ სიტუაციაში ყოველთვის რაიმე მოთხოვნილების გაცნობიერებით იწყება და გაივლის რა ინტერესის, მიზნის, მოტივისა და

[127] კიკნაძე დ. „დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის სისტემური გაგებისთვის, ალმანახი 2000 N13, სისხლის სამართლის და კრიმინოლოგიის პრობლემები, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 128

რწმენის ჩამოყალიბების ეტაპებს, სათანადო განწყობით მთავრდება, რაც შემდეგ შესაბამის სიტუაციაში პრაქტიკულად ხორციელდება.“ [128]

„მოტივაციის პროცესი და მოტივის ჩამოყალიბება, როგორც ვნახეთ, ცნობითი აზროვნების, მსჯელობებისა და დასკვნის ლოგიკური პროცესია, ფსიქოლოგიურად ყოველ ლოგიკურ მსჯელობასა და დასკვნას მისი ჭეშმარიტებისა და აუცილებლობის რწმენა ახლავს. ნებისმიერ მოტივაციის არსებაც სწორედ მის ჭეშმარიტებასა და აუცილებლობისადმი სუბიექტის შინაგანი რწმენაა. რწმენა მოტივაციის შემდეგ წარმოშობილი ის ფენომენია, რომლის გარეშეც არ არსებობს გადაწყვეტილება და ნებისმიერი მოქმედება, რასაც აკეთებს ადამიანი, საზოგადოებრივად სასარგებლოს თუ საზიანოს, აკეთებს იმ რწმენით, რომ ეს მოქმედება მისთვის ყველაზე მიზანშეწონილი და აუცილებელია მოცემულ სიტუაციაში, თუმცა ობიექტურად იგი შესაძლებელია არ იყოს მიზანშეწონილი და აუცილებელი.“[129]

„მოტივაციის პროცესში, მისი აღმძვრელი მოთხოვნილებების გარდა, მონაწილეობენ სხვა მოთხოვნილებები, ინტერესები, მიზნები, მოტივები, სამართლებრივი თუ მორალური ნორმების ცოდნა და შეგნება. მათ საფუძველზე ადამიანს აქვს შესაძლებლობა და ვალდებულიცაა, რომ შეაფასოს როგორც მოტივაციის აღმძვრელი მოთხოვნილება, ისე მისი დაკმაყოფილების მოქმედება, არჩევანი გააკეთოს სხვადასხვა შესაძლო მოქმედებათა შორის, რაც მას თავის მოქმედებაზე პასუხისმგებლობასაც აკისრებს.“ [130] მაშასადამე, „გადაწყვეტილების აქტს მოტივაციის პროცესი უსწრებს წინ,“[131] ხოლო „გადაწყვეტილების შესრულების პროცესს განწყობა უდევს საფუძვლად.“ [132]

გაუფრთხილებლობისას მოტივაცია მისი აღმძვრელი მოთხოვნილების დაკმაყოფილების სასარგებლოდ არ მთავრდება, რადგან შესაძლოა ადგილი ჰქონდეს აცდენას ადამიანის შინაგან იდეალურ მოქმედებასა და მის პრაქტიკულ რეალიზებას შორის (შედეგის მხედველობაში მიღებით).

---

[128] კიკნაძე დ. „დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის სისტემური გაგებისთვის, ალმანახი 2000 N13, სისხლის სამართლის და კრიმინოლოგიის პრობლემები, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 129.

[129] იქვე.

[130] იქვე.

[131] უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, ტ. III-IV, გვ. 205.

[132] იქვე, გვ. 188.

4.2. განწყობის ასპექტები

„ადამიანის ფსიქოლოგია, მისი როგორც მთელის პრინციპებზე - მისი განწყობის პრინციპებზე აიგება. ადამიანის ე.წ. ფსიქიკური „ფუნქციები“ - მისი დაკვირვება, წარმოდგენა, ყურადღება, ისევე როგორც აზროვნება და ნებელობა, წარმოადგენს მხოლოდ დიფერენცირებულ ფსიქიკურ თვისებებს, რომელიც მის განწყობას ემსახურება.“[133] „ადამიანის განწყობას, რომელიც მის ქცევას უდევს საფუძვლად, ქმნის გაცნობიერებული წარმოსახული სიტუაცია.“[134]

„ფსიქიკური აქტივობის რეგულაციაში და საკუთრივ განწყობის ფორმირებასა და ფუნქციონიერებაში „მოლოდინს“ საკმაოდ მნიშვნელოვანი ფუნქციები გააჩნია. როგორ უნდა გავიაზროთ განწყობისა და ცნობიერების ურთიერთობა, როგორ დავახასიათოთ მათი კავშირი? ურთიერთზე გავლენის დროს განწყობა ხდება ცნობიერების ბუნების მქონე მოვლენა, თუ პირიქით, ცნობიერება იქცევა არაცნობიერ განწყობისეულ ფენომენად, ანდა შესაძლებელია ამ ორივე მოვლენას ერთდოულად ჰქონდეს ადგილი?! ამ საკითხზე ნათელი და მარტივი პასუხი არ არის. საგნების მიმართ არსებული მოვლენები, მართლაც, შესაძლებელია, გაუცნობიერებლად ჰქონდეს მოცემულ ინდივიდს, მაგრამ ის მოლოდინები, რომლებიც პიროვნებებს ერთმანეთის მიმართ აქვთ, შეუძლებელია არაცნობიერი ურთიერთობის საფუძველზე აღმოცენდეს. საგულისხმო მოსაზრებებს ვხვდებით მოლოდინის, სუბიექტური ალბათობის და პროგნოზირების შესახებ ი. ბუალავასთან - „მოლიდინი ძნელი წარმოსადგენია დროსთან კავშირის გარეშე, როგორი განსაზღვრებაც არ უნდა მივცეთ მას. მისი რეალიზაცია ელის მომენტს, რომელიც მოსახერხებელია ქცევითი აქტივობის დაწყებისათვის. წარმოადგენს მოლოდინი სხეულის მდგომარეობას, თუ განცდას, რომელიც ასახავს ამ მდგომარეობას? ტრადიციულ საგანწყობო ექსპერიმენტში, საფიქსაციო ცდების შედეგად, ი. ბუალავას აზრით, გამომუშავდება განწყობა და მხოლოდ ამის შემდეგ მოლოდინი. მიუხედავად ამისა, წერს ავტორი, „ძნელი სათქმელია, რომ მოლოდინი სრულიად გამორიცხულია ამ ცდიდან. ცდის პირი, მართალია განყობის ფიქსაციის შემდეგ, მაგრამ მაინც ელის დიდი და პატარა ობიექტების გამოჩენას. ამ მოლოდინით ხვდება ის კრიტიკული ობიექტების ექსპოზიციას და

[133] უზნაძე დ., განწყობის ფსიქოლოგია, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, მეოთხე გამოცემა. რედ: შოთა ნადირაშვილი, გვ. 305.
[134] უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, ტ. III-IV, 1998 გვ. 91.

ამიტომ უშვებს შეცდომას მათ შეფასებაში.“ [135] აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ გაუფრთხილებლობის დროს პირი ახორციელებს განწყობის ფიქსაციას ქცევით, და შემდეგ მათ შეფასებაში უშვებს შეცდომას.

„ადამიანთან შეიძლება შეიქმნას განწყობა, დაფიქსირდეს და გააგრძელოს თავისი აქტივობა, მაგრამ ეს მხოლოდ ისეთ შემთხვევაში ხდება, როცა სუბიექტს განსაკუთრებით პრიმიტიულ პირობებში უხდება მოქმედება. ხოლო ადამიანის ცხოვრებისა და მოქმედებისათვის სპეციფიკურ პირობებში ამოქმედდება ობიექტივიზაციის უნარი, და მის საფუძველზე აღმოცენდება აზროვნება, რომელსაც ადამიანი აქტივობის გარკვეული სახეების აუცილებლობის აღიარებამდე მიჰყავს. ნებელობის წყალობით იგი ბოლოს და ბოლოს ახერხებს ისეთი განწყობის აქტუალიზირებასა და ამოქმედებას, რომელიც მიზანშეწონილადაა მიჩნეული.“ [136] „როდესაც სუბიექტი პრაქტიკული ამოცანის წინაშე დგება - მან ქცევის ისეთ აქტს უნდა მიმართოს, რომელიც თითოეული შედეგის სრულ პრაქტიკულ განხორციელებას მოგვცემდა. სუბიექტის წინაშე დგება ამოცანა: რაც მიზანშეწონილად სცნო, მისი განხორციელება მოახერხოს - მოკლედ ნებისმიერი აქტი შეასრულოს. როგორც ხდება ეს? ერთადერთი ამოცანა ამ ქცევის შესატყვისი განწყობის გამოწვევაში მდგომარეობს: თუ ასეთი განწყობა გააჩნდა, ქცევის გაშლას მის ნიადაგზე აღარაფერი შეუშლის ხელს. ნებელობის უშუალო ამოცანას დამუშავებული განწყობის აქტუალურ განწყობად გადაქცევა წარმოადგენს, რათა იგი ნამდვილ ძალად იქნეს განცდილი, - ძალად, რომელიც სუბიექტის ქცევას წარმართავს.“ [137]

„ნებელობითია ქცევა, როდესაც მისი ცალკეული სტადიები შესატყვისობაში მოდიან სიტუაციის ცვალებად პირობებთან და გრძელდებიან სწორედ იმდენ ხანს, რამდენიც საჭიროა გარკვეული რეზულტატის მისაღებად. ესაა აქტივობა, რომლის დროსაც გაცნობიერებულია მიზანი და მიმდინარე პროცესების კონტროლის შესაძლებლობა, ნებელობითი აქტივობა ყოველთვის მიმდინარეობს ქცევის სავარაუდო რეზულტატის ან ასეთი რეზულტატის შესაძლო შედეგების მეტ-ნაკლებად ცხადი მოლოდინების ფონზე.”[138]

---

[135] ნადარეიშვილი ვ., მოსადნელი ღირებულების კონცეფცია და განწყობა, სამეცნიერო კრებული „ფსიქოლოგია“, შრომები ტ. XXI, თბ. 2009 გვ. 126-127.

[136] უზნაძე დ., განწყობის ფსიქოლოგია, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, მეოთხე გამოცემა. რედ: შოთა ნადირაშვილი, გვ. 302-303.

[137] იქვე, გვ. 161-162.

[138] ნადარეიშვილი ვ., მოსადნელი ღირებულების კონცეფცია და განწყობა, სამეცნიერო კრებული „ფსიქოლოგია“, შრომები ტ. XXI, თბ. 2009, გვ. 121-122.

აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვათ, რომ განზრახვა არის აქტივობა, რომლის დროსაც გაცნობიერებულია მიზანი და მიმდინარე პროცესების კონტროლის შესაძლებლობა.

„უნებური აქტივობაც შეიძლება იყოს მიზანშეწონილი, მაგრამ ის პასუხობს კითხვაზე „რატომ?“, რადგან მას არ შეიძლება მიეწეროს რაიმე განზრახვის არსებობა, ხოლო ნებელობითი აქტივობა კი პასუხობს კითხვაზე „რისთვის?“.“[139]

„ნებელობა არის უნარი თავისი ქცევის აზროვნების მიხედვით მართვისა.“ [140] „იგი წინ იხედება, პროსპექტული აქტია.“[141] „ნებელობის პროცესი სამ პერიოდს მაინც შეიცავს: 1) გადაწყვეტილების მოსამზადებელ პერიოდს, რომელიც არკვევს, თუ რა მოსაზრებით რა უნდა გადაწყდეს; 2) თვითონ გადაწყვეტილების პერიოდს, და ბოლოს, 3) გადაწყვეტილების შესრულების პერიოდს.“ [142] „ნებელობა, ანუ ცნობიერი აქტივობის პლანის მოვლენა, „განაწყობს ადამიანს“, რაც ნიშნავს მის მონაწილეობას განწყობის ფორმირებაში.“ იგივეზე მეტყველებს ფრაგმენტიც: „ამ ცვლილებათა საფუძველზე ვითარდება შემდეგ ადამიანის აზროვნება, რომელიც ობიექტივიზაციის ნიადაგზე შესაბამისად მოდიფიცირებული ყურადღების, დაკვირვებისა და წარმოდგენის გამოყენებით განსაზღვრავს განწყობას, რომლის საფუძველზეც - სუბიექტი თავის ნებისყოფის მეშვეობით ახორციელებს საჭირო, მის მიერ მიზანშეწონილად მიჩნეულ მოქმედებას.“[143]

„მოსალოდნელი ღირებულების“ თეორიის ძირითადი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ მოქმედების რამდენიმე ალტერნატივიდან არჩევის აუცილებლობისას, უპირატესობა ეძლევა მას, რომლის დროსაც მაქსიმალური აღმოჩნდება მიღწეული რეზულტატის ფასეულობის (მიმზიდველობა) სიდიდის ნამრავლი მისი მიღწევის ალბათობაზე (მოლოდინი). სხვა სიტყვებით, მისი მიღწევადობის გათვალისწინებისას, ზეობს მიზანი ყველაზე მაღლა შეფასებული მიმზიდველობით“. მოცემული ტიპის თეორიებში მოლოდინი ყველგან განხილულია როგორც ალბათობა (მისი ობიექტურობისა თუ

---

[139] ნადარეიშვილი ვ., მოსადნელი ღირებულების კონცეფცია და განწყობა, სამეცნიერო კრებული „ფსიქოლოგია“, შრომები ტ. XXI, თბ. 2009, გვ.122.

[140] უზნაძე დ., განწყობის ფსიქოლოგია, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, მეოთხე გამოცემა. რედ: შოთა ნადირაშვილი, გვ. 163.

[141] უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, ტ. III-IV, 1998 გვ. 176.

[142] იქვე, გვ. 181.

[143] ნადარეიშვილი ვ., მოსადნელი ღირებულების კონცეფცია და განწყობა, სამეცნიერო კრებული „ფსიქოლოგია“, შრომები ტ. XXI, თბ. 2009, გვ. 129.

სუბიექტურობის სხვადასხვა ხარისხით).“[144] გაუფრთხილებლობა და კერძოდ თვითიმედოვნება სწორედ წარმატების მიღწევის სუბიექტური ალბათობაა.

„მოსალოდნელობა, ალბათობა, მაშინაც კი როდესაც ისინი სუბიექტურია, ობიექტს მიეწერება, ობიექტის თვისებებია. განსხვავებით ამისაგან, მოლოდინი სუბიექტის მდგომარეობაა, რომელიც ალბათობის, მიმზიდველობის და სხვათა საფუძველზე ყალიბდება. მოსალოდნელობა დაკავშირებულია მოვლენის ხდომილებასთან, როგორც ასეთთან - ექნება თუ არა მას ადგილი, ხოლო მოლოდინში აქცენტირებულია მოსალოდნელის მოცემულობა და დროის ფაქტორი - როდის დადგება ეს მოვლენა. სხვა სიტყვებით, მოლოდინი მხოლოდ სუბიექტურად საკმაო მოსალოდნელობის შემთხვევაში წარმოიქმნება, ანუ როდესაც ხდომილებას საკმაო დარწმუნებულობა ახლავს და მას სათანადო მიმზიდველობაც ერთვის.“[145]

გაუფრთხილებლობისას, კერძოდ თვითიმედოვნებისას, ქმედების შესრულებას ახლავს სათანადო მიმზიდველობა და საკმაო დარწმუნებულობა.

„მოსალოდნელი მოვლენის დადგომამდე მოლოდინის მდგომარეობა, სხვასთან ერთად მოიცავს:

1) მიმართულებას და კონცენტრაციას სამიზნე მოვლენაზე. „გარემოება, რომ განწყობის გარკვეული სახეობების ფორმირებასა და ფუნქციონირებაში ცნობიერი პროცესები და წარმონაქმნები მონაწილეობენ, არ ეწინააღმდეგება განწყობის არაცნობიერობის შესახებ დებულებას - განწყობისეული ასახვის, მისი წარმოქმნის და მის მიერ ქცევის რეგულაციის პროცესი არაცნობიერად მიმდინარეობს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ განწყობისეული რეგულაციის პირობებში არაა აუცილებელი გამოვრიცხოთ ცნობიერების გარკვეული ხარისხით მოცემული მიზნის არსებობა. სხვა საქმეა, რომ მიზანი, განწყობის ჩამოყალიბების გარკვეულ ეტაპზე, გადის ცნობიერებიდან, მაგრამ მაინც განაგრძნობს ქცევის რეგულაციაში მონაწილეობას. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ აღნიშნულ ეტაპამდე მიზანი მოლოდინშია მოცემული.“[146]

„გავითვალისწინებთ რა, რომ „ფსიქოლოგიაში მიზნის შესახებ წარმოდგენა გულისხმობს ხატს და მოტივს დავუშვებთ, რომ მიზნები, მას შემდეგ რაც მათ საფუძველზე მიმართულება ჩამოყალიბდება, ცნობიერების ნიშნის მატარებელი განცალკევებული წარმონაქმნების სახით აღარ არსებობენ, მაგრამ, ვინაიდან საჭიროა მუდმივი კონტროლი მოვლენათა განვითარებაზე, ქცევის

[144] ნადარეიშვილი ვ., მოსადნელი ღირებულების კონცეფცია და განწყობა, სამეცნიერო კრებული „ფსიქოლოგია“, შრომები ტ. XXI, თბ. 2009, გვ. 130-131.
[145] იქვე, გვ. 131.
[146] იქვე, გვ. 134-135.

შესატყვისობაზე მიზნებთან და მათი (მიზნის და ქცევის) კორექცია და რომ ეს მიზანი მხოლოდ წარმოსახულია, პროსპექტიულია, ანუ შესაძლებლის სახით არსებობს მხოლოდ, ალბათ მარტოოდენ არაცნობიერი განწყობისეული რეგულაცია არ უნდა იყოს საკმარისი. სამიზნე მოვლენის ხატის მოლოდინში მოცემულობის ფორმის დახასიათების ვარიანტი შეიძლება იყოს პერმანენტული მოცემულობის ანალიზი, როდესაც მოლოდინის მდგომარეობა გაგებული იქნება, როგორც ფსიქიკაში მიზნის მუდმივად სიცხადის იმ ხარისხით შენარჩუნების უზრუნველყოფის ხელისშემწყობი მდგომარეობა, რომელიც აუცილებელია მოცემული კონკრეტული ქცევის რეგულაციისათვის. როგორც ითქვა, მიზანი შესაძლოა განწყობაში ინკორპორირდეს და ცნობიერების წამყვან პლანზე არ ფიგურირებდეს, მაგრამ ამ მიზნის საფუძველზე წარმოქმნილი მდგომარეობა (მოლოდინი) შესაძლოა იყოს სწორედ ის, რაც პირველ პლანზეა მოცემული თვითრეფლექციისას, ანუ მოცემულ შემთხვევაში „არაფენომენალური“ განწყობის მომავალზე მიმართული ცნობიერი ასპექტი შესაძლოა მოლოდინის სახით იყოს წარმოდგენილი“.[147]

2) „პერმანენტულ მოცემულობას სამიზნე მოვლენის. ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს ამ ვითარებასთან დაკავშირებული განწყობის მზაობის ხარისხის შენარჩუნებას, მუდმივად ასტიმულირებს რა მას სამიზნე მდგომარეობის აქტუალური მოცემულობით - მისი მიმზიდველობის მუდმივი აქტუალიზაციით. ასეთ შემთხვევაში შესაძლოა მოლოდინი არ იყოს ცნობიერების წინა პლანებზე, მაგრამ მისი მოცემულობის ფორმა არ არის გადამწყვეტი მთავარი ამოცანის - მიმართულების შესანარჩუნებლად. ამ ფუნქციას დიდი მნიშვნელობა აქვს ქცევის სტაბილიზაციისათვის. მოლოდინი განწყობის სათანადო კონდიციის შენარჩუნების ფუნქციას ასრულებს. ეს ფუნქცია სრულდება მიზნის მეშვეობით, მაგრამ ეს მიზანი მოლოდინის მდგომარეობაში უნდა იყოს ჩართული, რათა თავისი დანიშნულება შეასრულოს. დადებითი შედეგის მოსალოდნელი ღირებულების ტრადიციული მოდელებისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში მიმართულობასა და დინამიკის მომენტს ცალ-ცალკე ან თუნდაც კომბინაციაში მოცემული მოსალოდნელობა და მიმზიდველობა ან ლტოლვის მსგავსი ენერგეტიკული საწყისები კი არ განსაზღვრავენ, არამედ მათ საფუძველზე წარმოქმნილი მთლიანობითი პროდუქტი - განწყობა. სწორედ მის შენარჩუნებაზეა საუბარი, რაც

[147] ნადარეიშვილი ვ., მოსადნელი ღირებულების კონცეფცია და განწყობა, სამეცნიერო კრებული „ფსიქოლოგია“, შრომები ტ. XXI, თბ. 2009, გვ. 137-138.

ავტომატურად გულისხმობს მისი სახეცვლილი შემადგენლობის შენარჩუნებასაც (მაგალითად, განწყობის კომპონენტების სახით).“ [148]

„განწყობის ფაქტორების კონდიციაში მოყვანასთან დაკავშირებით მხედველობაშია მისაღების შემდეგი გარემოება - აქტუალურ ქცევას ამოტივირებენ შუალედური ცვლადები: 1. მოთხოვნილების მდგომარეობა; 2. მოლოდინი; 3. ღირებულება (სამიზნე ობიექტის მიმზიდველობა). ცვლადები ღირებულება და მოლოდინი ჩვეულებრივ არ ექვემდებარებიან თავისუფალ კომბინირებას, მათი ურთიერთდამოკიდებულება დგინდება ე.წ. მატრიცით „მოსალოდნელი ღირებულების“. მოსალოდნელობის ხარისხის მატების ხარჯზე ფსიქოლოგიური მანძილის საწყის დონესთან შედარებით, უფრო მიმზიდველი ხდება, ხოლო მიმზიდველობის ხარისხის ზრდა, თავის მხრივ, კიდევ უფრო ზრდის სუბიექტურ ალბათობას. საბოლოოდ, ამ ტრანსფორმაციის შედეგად, იზრდება დარწმუნებულობის ხარისხი და შესაბამისად იზრდება განწყობის სტრუქტურირების შესაძლებლობა და მისი მზაობის ხარისხის მომატება.“[149]

გაუფრთხილებლობის დროს მიზანი მოლოდინშია მოცემული. თვითიმედოვნება მოსალოდნელობისა და სუბიექტური ალბათობის ჯამს წარმოადგენს და მის დროს მიზანი მოლოდინში რჩება. თვითიმედოვნებით მოქმედების დროს სამიზნე მდგომარეობა ახლოვდება და უფრო მიმზიდველი ხდება, ხოლო მიმზიდველობის ხარისხის ზრდა, თავის მხრივ, შედეგის სუბიექტურ ალბათობას ზრდის. საბოლოოდ, იზრდება დარწმუნებულობის ხარისხი. თუმცა აღნიშნულ პროცესებს მუდმივად თან სდევს შეცდომა სუბიექტის მხრიდან და შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ გაუფრთხილებლობა მოლოდინის შეცდომას წარმოადგენს.

V. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გაუფრთხილებლობით დანაშაულთან დაკავშირებით

გაუფრთხილებლობით დანაშაულსა და მის ფსიქოლოგიურ ასპექტებზე საუბრისას, გვერდს ვერ ავუვლით მოქმედი სისხლის სამართლის

[148] ნადარეიშვილი ვ., მოსადნელი ღირებულების კონცეფცია და განწყობა, სამეცნიერო კრებული „ფსიქოლოგია“, შრომები ტ. XXI, თბ. 2009, გვ. 143-144.
[149] იქვე, გვ. 146.

კანონმდებლობით გაუფრთხილებლობითი დანაშულისასთვის სასჯელის დანიშვნის წესს. აღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია გამოვყოთ ის საკვანძო ასპექტები, რომელთა მხედველობაში მიღებითაც კანონმდებელი ხელმძღვანელობს სასჯელის განსაზღვრისას, ასევე ის ძირითადი შემამსუბუქებელი თუ დამამძიმებელი გარემოებები, რომელიც სისხლის სამართლის პრაქტიკის შედეგად არის გამოკვეთილი. აღნიშნულის მაგალითი შეიძლება იყოს არა მხოლოდ წინდახედულობის ნორმის დარღვევის ხასიათი და მისი ხარისხი, ასევე ის მართლსაწინააღმდეგო შედეგი, რომელიც პირის გაუფრთხილებელმა ქმედებამ გამოიწვია. ამასთან, მნიშვნელობანია, გაუფრთხილებლობით დანაშაულთან მიმართებით განვიხილოთ საქართველოში არსებული სტატისტიკური მდგომარეობა და გავაანალიზოთ გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის სასამართლო გადაწყვეტილებებში სასჯელის დანიშვნის დასაბუთება.

5.1. გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენისას სასჯელის დანიშვნის კრიტერიუმები

„სასჯელი, რომელიც სისხლისსამართლებრივი ხასიათისაა, მეტად რთული პრობლემაა სისხლის სამართლის მეცნიერებაში. იგი უხსოვარი დროიდან არსებული ღონისძიებაა და ადამიანი მრავალი ფორმითა და სახეობით ახორციელებდა მას. მიუხედავად ამისა, კარგახანს არ დაფიქრებულა მის რაობაზე და დღესაც ვერ გადაუწყვეტია ერთსახად მისი არსი და იურიდიული სიღრმე.“ [150] სასჯელი არის სახელმწიფოს იძულების ღონისძიება, რომელიც საქართველოს სახელით მხოლოდ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით შეიძლება შეეფარდოს დანაშაულის ჩამდენ პირს. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ სასჯელი არის განსაკუთრებული ხასიათის ქმედება, რომელსაც ახორციელებს სასამართლო სახელმწიფოს სახელით და რომელიც განსაზღვრულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით ყველა კონკრეტული დანაშაულისთვის მისი მაკვალიფიცირებელი გარემოებებისა და სიმძიმის გათვალისწინებით. მართალია, მოქმედი სისხლის სამართლის

[150] მუავანაძე ზ., მინდაძე ო,. სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი) ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი 2005, გვ. 304.

კანონმდებლობა არ გვთავაზობს სასჯელის ცნებას, თუმცა განსაზღვრულია სასჯელის მიზნები. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია“.[151] „სამართლიანობის აღდგენის გამოცხადება სასჯელის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზნად, საკმაოდ საინტერესოა. კანონმდებელი ლაკონურია და არ იძლევა და ალბათ, ვერც შეძლებდა მოეცა სამართლიანობის ცნების ლეგალური გ.ანმარტება. ძნელად წარმოსადგენია სამართლიანობის აღდგენა დასჯის გარეშე. სწორედ სამართლიანობა მოითხოვს რომ ის პირი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა და თავისი ქმედებით ზიანი (ფიზიკური, ქონებრივი თუ მორალური) მიაყენა სხვას, დაუსჯელი არ დარჩეს.“[152] ახალი დანაშაულის თავიდან აცილება სასჯელის ერთ-ერთი მიზანია. „დანაშაულის თავიდან აცილების მიზნის რეალიზაცია გულისხმობს ახალი დანაშაულის ჩადენის დაუშვებლობას, როგორც მსჯავრებულის, ისე სხვა პირების მიერ.“ [153] რაც შეეხება „დამნაშავის რესოციალიზაციას“, იგი ნიშნავს დამნაშავის საზოგადოებაში მის სრულუფლებიან წევრად დაბრუნებას, აღდგენასა და პიროვნულ რეინტეგრაციას. „ამ მიზნის მიღწევის გარეშე სისხლის სამართლის სასჯელის აზრი იკარგება და იგი სამაგიეროს მიზღვევის სახესხვაობად გადაიქცევა.“[154]

„მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის წარმატებით განხორციელება ყოველთვის მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას. ესაა კარგად გააზრებული სამოქმედო გეგმა, რომელიც, ზოგადი ხასიათის ღონისძიებების გატარებასთან ერთად, მოითხოვს ინდივიდუალურ მიდგომას. მსჯავრდებული პიროვნების შესწავლისთვის საჭიროა მისი პიროვნების მონაცემების ცოდნა, რომელიც მის ქცევაზე, გარემოსა და მის პიროვნებაზე გავლენის მქონე გარემოებებზე დაკვირვების შედეგად მოიპოვება.“[155] ამასთან, „სასჯელის მიზანი არის ის საბოლოო შედეგი, რომლის მიღწევისაკენ მიისწრაფვის სახელმწიფო თავის

---

[151] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლი (2019 წლის 08 მაისის მდგომარეობით).

[152] ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, გამომცმელობა „მერიდიანი“, 2016, გვ. 176.

[153] ვარძელაშვილი ს., სადისერტაციო ნაშრომი „სასჯელის მიზნები“, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2016, გვ. 61.

[154] ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო) ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2016, გვ. 487.

[155] დვალიძე ი,, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, გვ. 30.

მიერ დადგენილი იძულებით ღონისძიებათა გამოყენების მეშვეობით. “ [156] აქვე მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ მოსამართლემ სასჯელის შეფარდების სახისა და ზომის განსაზღვრისათვის, უპირველესად, უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლში მითითებული სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისებით. „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს უნიშნავს კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში. რაც ნიშნავს, რომ სასამართლომ სასჯელი შეიძლება მხოლოდ ამ კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებისთვის დანიშნოს. ამასთან ეს სასჯელი უნდა იყოს სამართლიანი, ჩადენილი დანაშაულის თანაზომიერი და პროპორციული.“[157] ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, „სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით მის მისწრაფებას აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს“. სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის სახე და ზომა ზემოთ ჩამოთვლილ გარემოებათა მხედვლობაში მიღებით უნდა იქნეს დანიშნული. „სასჯელმა თავის მიზანს მაშინ შეიძლება მიაღწიოს, როდესაც იგი მიზანშეწონილი, თანაზომიერი და სამართლიანია. ეს კი თავის მხრივ გულისხმობს, რომ სასჯელის დანიშვნისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპით. ვინაიდან სასჯელის მიზანი სამართლიანობის აღდგენა და რესოციალიზაციაა, სასჯელი უნდა შეესიტყვებოდეს პირის ინდივიდუალურ ბრალს, უნდა იყოს ჰუმანური და მიზანშეწონილი.“ [158] როგორც უკვე აღინიშნა, იმისათვის, რომ სასჯელის მიზნები მიღწეული იყოს, მნიშვნელოვანია სასჯელის დანიშვნა მოხდეს ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით. „სასჯელის

---

[156] სამართლის ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, გვ.18;
იხ. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2014w-n4.pdf> (25.06.2019)

[157] ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო) ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2016, გვ. 526.

[158] ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, გამომცმელობა „მერიდიანი“, თბილისი, 2016, გვ. 199.

ინდივიდუალიზაციის პრინციპი გულისხმობს დამნაშავის მიერ ჩადენილი ქმედების საშიშროების, ბრალის ხარისხის, დანაშაულის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა შეფასების, ბრალდებულის პიროვნების და სხვა მნიშვნელოვან გარემოებათა გათვალისწინებით მკაცრად ინდივიდუალიზებული სამართლიანი სასჯელის შეფარდებას. იგი გამორიცხავს ფორმალიზმს სასჯელის შეფარდების დროს რამდენადაც გულისხმობს სასჯელის პერსონიფიცირებას ყველა ცალკეულ შემთხვევაში.“ [159] ასევე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის თანახმად, „განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, სამართლიანი და დასაბუთებული“, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.“ აღნიშნული ნორმა კი ცხადყოფს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის მნიშვნელობას სასჯელის შეფარდების პროცესში. „მოსამართლისთვის სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გამოყენება როდია მხოლოდ რეკომენდაცია, არამედ მისი ვალდებულებაა, რისგანაც მას თავის არიდება არ შეუძლია.“[160]

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გამოყენება მეტად მნიშვნელოვანია გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულებში, რა დროსაც მხედველობაშია მისაღები დანაშაულის ჩამდენი პირის სუბიექტური ნება, კერძოდ ის ფაქტი, რომ პირს არ სურდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა. გაუფრთხილებელი ქმედება საკუთარი არსით ბევრად უფრო ნაკლებად ისჯება, ვიდრე განზრახი ქმედება. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ამ შემთხვევაში ნაკლებია პირის გასაკიცხაობის საფუძველი ანუ ინდივიდუალური ბრალის ხარისხი. ასეთ შემთხვევაში პირი მხოლოდ წინდაუხედაობის ნორმას არღვევს თვითიმედოვნების ან დაუდევრობის ფორმით. ასევე, სასამართლომ სასჯელის განსაზღვრისას უნდა იმსჯელოს და ყურაღდება მიაქციოს იმ ფაქტს თუ წინდაუხედაობის რომელი ნორმა იქნა დარღვეული - დაწერილი თუ დაუწერელი. დაწერილი წინდაუხედაობის ნორმის დარღვევის შემთხვევაში საქმე ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც პირმა არ იცოდა, რომ არღვევდა წინდაუხედაობის ნორმას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდეც. მეტად პრობლემატურია დაუწერელი წინდახედულობის ნორმის დარღვევის შემთხვევა, რადგან ეს შემთხვევები ძირითადად

---

[159] ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, გამომცმელობა „მერიდიანი“, თბილისი, 2016, გვ. 210.

[160] ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო) ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2016, გვ. 529.

არადასჯად ქმედებათა ზღვარზეა. შესაბამისად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ მაინც აქვს ადგილი წინდახედულობის დაუწერელი ნორმის დარღვევას, ეს სასჯელის განსაზღვრისას უნდა მიიღოს მხედველობაში როგორც შემამსუბუქებელი გარემოება. ამ მხრივ საინტერესოა, განვიხილოთ თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი. განაჩენის აღწერილობით ნაწილში აღნიშნულია, რომ ა. შ.-ს დაუდევარი ქცევის შედეგად ფანჯარაზე ჩამოკიდებულ ფარდას გაუჩნდა ცეცხლი, რაც გავრცელდა მთლიან სახლში, რომელიც სრულად დაიწვა. ასევე, სრულად დაიწვა მეზობლების სახლები, რითაც მათ მიადგათ მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. განაჩენის სასჯელის გამოყენების დასაბუთებაში მითითებულია, რომ „სასჯელის დანიშვნისას სასამართლო ითვალისწინებს დანაშაულის ჩადენის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხს, მართლსაწინააღმდეგო შედეგს, ასევე, ბრალდებულის პიროვნებას. პირის მიერ ჩადენილია ნაკლებად მძიმე კატეგორიის გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რასაც გულწრფელად აღიარებს და ინანიებს, არის სტუდენტი, წარსულში ნასამართლევია განზრახი დანაშაულის ჩადენისთვის, მიყენებული ზიანი არ არის ანაზღაურებული."[161]

გაუფრთხილებლობითი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნისას ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი და დომინანტური გარემოება არის სასამართლოს მხრიდან წინდახედულობის ნორმის შეფასება, კერძოდ დადგენა იმისა, თუ რა სახის ნორმა იქნა დარღვეული პირის მიერ. აღნიშნულს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სასჯელის სახის და ზომის განსაზღვისას და შესაბამისად, მისი მიზნების მიღწევადობის განსაზღვრისას. რადგან წინდახედულობის ნორმით გათვალისწინებული ურთიერთობები არის ამოუწურავი და მას კანონმდებელი არ განსაზღვრავს, სწორედ ამ სფეროს, ამ ურთიერთობების უმთავრესი აქტორები უნდა იქნეს შესწავლილი სასამართლოს მხრიდან სასჯელის განსაზღვრისას და მათი სამომავლოდ დარღვევის თავიდან აცილების ერთგვარი პრევენცია უნდა მოახდინოს სასჯელით.

[161] თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება N---

5.2. გაუფრთხილებლობითი დანაშაულის სტატისტიკა

გაუფრთხილებლობით დანაშულის ფსიქოლოგიურ ასპექტებზე საუბრისას მნიშვნელოვანია განვიხილოთ საქართველოში არსებული სტატისტიკური მდგომარეობა გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებით. დანაშაულის სტატისტიკას საქარველოში ძირითადად აწარმოებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელიც, ერთის მხრივ, არის ქვეყნის ერთ-ერთი საგამოძიებო დანაყოფი, ხოლო, მეორე მხრივ, უწყებრივი ქვემდებარეობის წესის თანახმად, სწორედ აღნიშნულ ორგანოს ექვემდებარება თითქმის ყველა ის გაუფრთხილებლობით დელიქტი, რომელსაც ქართულ რეალობაში ყოველდღიურად აქვს ადგილი. გარდა ამისა, დანაშულის სტატისტიკას აქვეყნებს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ორივე მოცემული ოგანოს მიერ წარმოებული სტატისტიკური მონაცემები მოიცავს ისეთი რეგისტრირებული ქმედებების რიცხოვნობას, რომელშიც იკვეთება დანაშაულის ნიშნები და დაწყებულია გამოძიება. კრიმინოლოგიაში ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ სახელმწიფო ორგანოების მიერ აღირიცხება ფაქტობრივად ჩადენილ დანაშაულთა მხოლოდ მცირე ნაწილი, დანარჩენი კი რჩება ლატენტურად. „ლატენტურად უნდა ჩაითვალოს ისეთი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დასჯადი ქმედება (დანაშაული), რომელიც სამართალდამცავი ორგანოებისათვის არ გახდა ცნობილი, ვერ იქნა გამოვლენილი და ამიტომ არ მოხდა პოლიციის სტატისტიკაში მათი აღრიცხვა და რეგისტრაცია, თუმცა იგი სინამდვილეში საკმაოდ გავრცელებულია და დიდ გავლენას ახდენს კრიმინალურ სიტუაციაზე.“[162] გამომდინარე აქედან, უნდა აღინიშნოს, რომ პოლიციის ორგანოების მიერ წარმოებული სტატისტიკაც არ იძლევა სრულ სურათს ქვეყანაში მომხდარ გაუფრთხილებელ დანაშულთა ზუსტი ოდენობის შესახებ, თუმცა არსებული მონაცემებიდან გამომდინარე, მიახლოებით მაინც არის შესაძლებელი გამოითვალოს გაუფრთხილებელი ფორმით ჩადენილ დანაშაულთა ხვედრითი წილი სისხლის სამართის წესით დასჯად ქმედებათა საერთო მასაში. სისხლის სამართლის ფრაგმენტული ბუნებიდან გამომდინარე, ცნობილია, რომ სისხლის სამართლებრივად ისჯება მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა საერთო მასიდან გამოყოფილი მხოლოდ განსაკუთრებულად სერიოზული პოტენციური ზიანის მატარებელი ქმედებები. შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ დასჯადი ქმედებები გადანაწილებულია

[162] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (მეორე გამოცემა), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016. გვ 11.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსებში. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს სახელმწიფო უპირისპირებს ადმინისტრაციულ სახდელებს, ხოლო დანაშაული კი განუყოფლადაა დაკავშირებული სასჯელის ინსტიტუტთან. [163] გამომდინარე აქედან, გაუფრთხილებლობის არსის და მისი ნაკლები გასაკიცხაობის გათვალისწინებით ლოგიკურია, რომ კანონმდებელი სახელმწიფოს სისხლის სამართლებრივ რეპრესიულ ღონისძიებებს უკავშირებს ისეთ გაუფრთხილებელ ქმედებებს, რომლებმაც არა მარტო მართლსაწინააღმდეგო შედეგი გამოიწვიეს, არამედ ხშირ შემთხვევაში სახეზე უნდა იყოს უფრო მძიმე ხასითის შედეგი, ვიდრე ეს ჩვეულებრივ გათვალისწინებულია განზრახი დანაშულისათვის. ხსენებული შეხედულება პირდაპირი გამომდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ანალიზიდან. კერძოდ, გაუფრთხილებლობით ისჯება მხოლოდ ჯანმრთელობის მძიმე და ნაკლებად მძიმე დაზიანებები, იმ დროს როდესაც ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებაც დასჯადია იმ შემთხვევაში, როდესაც იგი განზრახ არის ჩადენილი. აღნიშნული ფაქტორები კი ხშირ შემთხვევაში გავლენას ახდენს გაუფრთხილებელი დანაშაულის სტატისტიკაზე, რადგან საყოველთაო ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, გაცილებით უფრო რთულია სახელმწიფო ორგანოებისაგან დამალო მძიმე ხასიათის შედეგები, ვიდრე ისეთი რეზულტატი, რომელიც არ არის გამორჩეული საკუთარი სიმძიმით.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციის თანახმად, ყველაზე უფრო გავრცელებულ გაუფრთხილებლობით დანაშაულს წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, კერძოდ კი ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა. 2019 წლის იანვარში საქართველოს მასშტაბით ოფიციალური მონაცემების თანახმად, რეგისტრირებულია აღნიშნული დანაშაულის 431 შემთხვევა, საიდანაც 39 გარდაცვალების ფაქტით დასრულდა.[164] ასევე, შედარებით იშვიათია სამოხელეო დანაშაულის თავში არსებულ გაუფრთხილებელ დანაშაულთა ოდენობა, კერძოდ, 2019 წლის წლის თებერვალში რეგისტრირებულია სამსახურებრივი გულგრილობის 7 ფაქტი, რაც მე-3 მაჩვენებელია სამოხელეო

---

[163] გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები მე-3 ტომი, გამომცმელობა „მერიდიანი“, თბილისი 2013, გვ. 21.

[164] „რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა“;
იხ. <https://www.geostat.ge/media/21907/danarti-ianvari-2019.pdf> (08.06.2019).

დანაშაულთა თავით გათვალსიწინებული ქმედებებში და ჩამორჩება მხოლოდ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა და გადამეტებას.[165] რაც შეეხება სიცოცლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს, სამწუხაროდ აქ სტატისტიკა ცალკე არ გამოყოფს სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობისა და ჯანმრთელობის გაუფრთხილებლობით მძიმე და ნაკლებად მძიმე დაზიანების მუხლებს, ამიტომაც არ არსებობს საკმარისი მონაცემები ამ ნაწილში მსჯელობის გასავითარებლად. აღნიშნულ შემთხვევებში არც სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებლის გამოყენება იქნება მიზანშეწონილი, რადგანაც დღეს არსებული პროცესუალური კანონმდებლობიდან გამომდინარე, გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენისას შეიძლება უმრავლეს შემთხვევაში გამოყენებული იქნას პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება და არ დაიწყოს კონკრეტული პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა, ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სს დევნის ალტერნატიული მექანიზმები, რაც შლის ფაქტობრივად მომხდარი გაუფრთხილებლობით დანაშაულების რაოდენობის სრულ სურათს.

გაუფრთხილებელი დანაშაულის სტატიკის ანალიზისას ცალსახად იკვეთება ურთიერთობათა, წინდახედულობის ნორმათა გარკვეული წრე, რომლის დარღვევაც ყველაზე ხშირად ხდება. შესაბამისად, ამ მიმართულებით მიმაჩნია, რომ სახელმწიფომ კომპეტენტური ორგანოების მეშვეობით, უნდა იზრუნოს საზოგადოების მართლშეგნების ამაღლებაზე, რათა მოხდეს მსგავსი ქმედებების და შესაბამისად, უარყოფითი შედეგების, მაქსიმალური პრევენცია.

VI. დასკვნა

დანაშაულებრივი ქცევა არის კომპლექსური, მხოლოდ შემეცნებით და გადაწყვეტილებით მოდელებს აქვთ ძალა გაუმკლავდნენ მის ფართო მრავალფეროვნებასა და სხვადასხვაგვარობას. გაუფრთხილებლობა არის სამართლებრივი შეფასება იმისა, რომ პირმა დაარღვია ქცევის სტანდარტი და არ შეასრულა ის, რაც მოეთხოვებოდა. ქცევა რთული სტრუქტურული

[165] „რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა“;
იხ. <https://www.geostat.ge/media/21910/danarti-tebervali-2019.pdf (08.06.2019)>.

მთლიანობაა. დარწმუნება, რომელიც ასაბუთებს თვითიმედოვნებას, ემყარება კონკრეტულად განსაზღვრულ ფაქტორებს, სუბიექტის პირად თვისებებს ან გარეგან ძალას, რომლებსაც, დამნაშავის რწმენით, შეუძლიათ ხელი შეუშალონ ზიანის რეალურ განხორციელებას. ამრიგად, რწმენა აქ გარკვეულწილად დომინანტად წარმოდგება. დაუდევრობის დროს მოქმედება, რომლის გამოც ირღვევა უსაფრთხოების წესები, თავისი ფსიქოლოგიური არსით მოტივირებული და მიზანმიმართული, ნებელობითი და გააზრებულია, მაგრამ აქ ნება და გააზრება დანაშულის ჩადენას არ ითვალისწინებს. გადაწყვეტილების აქტს ყოველთვის წინ უსწრებს ყველა შესაძლებლობის აწონდაწონა, აზროვნება, მოფიქრება, მოტივაციის პროცესი. მას წინ უსწრებს პერიოდი, რომელშიც ხდება წინასწარი გათვალისწინება, წინასწარი მოძებნა ქცევის იმ სახეობისა, რომელიც სუბიექტის მე-ს საერთო ინტერესებს შეეფერება. ეს ძებნის პროცესი გადაწყვეტილების აქტით მთავრდება. ძებნის პროცესი პრაქტიკულად არჩევანია, რომელიც იმ პროცესის შედეგია, რომელიც მოიცავს შეფასებასა და გადაწყვეტილებას.

გადაწყვეტილების პროცესზე ზემოქმედებას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ემოცია და არჩევანი. სხვადასხვა არჩევანის არსებობისას ემოციები გვეხმარება პრიორიტეტის მინიჭებაში და ამცირებს დასამუშავებელი ინფორმაციის ოდენობას. აღნიშნული აღწერს გაუფრთხილებლობას, რადგან მის დროს ადგილი აქვს როგორც გაურკვევლობას, ასევე დასამუშავებელი ინფორმაციის შემცირებას.

გაუფრთხილებლობისას რისკის აღქმის შეცდომასთან გვაქვს საქმე. რისკის აღქმისას ემოციები მნიშვნელოვან როლს თამაშობს. კავშირი აღქმულ რისკსა და აღქმულ სარგებელს შორის დაკავშირებულია ადამიანის საერთო ემოციურ შეფასებასთან რისკებთან მიმართებით. გაუფრთხილებლობა სწორედაც აღქმულ რისკსა და აღქმულ სარგებელს შორის ურთიერთობის/კავშირის შეფასების შეცდომას წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია, ფიქრისა და აზროვების პროცესის როლი გაუფრთხლებლობისას. შესაძლებელია ფიქრის, აზროვნების პროცესი იყოს გაუცნობიერებელი. ყველა ფიქრის, აზროვნების პროცესი შეგნებული არ არის, არ არის ყოველთვის მკვეთრად განსაზღვრული ან ცნობიერების მაღალ დონეზე არსებული. სწორედ ეს არის სისხლისსამართლებრივი გაუფრთხილებლობა, აქ სწორედ ფიქრისა და აზროვნების პროცესია გაუცნობიერებელი, რის გამოც ხდება შეცდომა და დგება არასასურველი შედეგი.

ნაშრომში ქცევასთან დაკავშირებით ორი თეორია იქნა განხილული.

განპირობებული ქცევის თეორია ამოსავალ წერტილად იღებს ცვლადს - ქცევით განზრახვას. თეორიის ძირეული კომპონენტი არის პირის დამოკიდებულება ნებელობით ქცევაში ჩართვის მიმართ. დამოკიდებულება ზოგიერთი ქცევის შესრულების მიმართ არის რწმენის ფუნქცია, რომელიც პიროვნებას გააჩნია ქცევასთან დაკავშირებით. პირის დამოკიდებულება ქცევისადმი არის რწმენის ძალისა და რწმენის შეფასების ჯამი. რადგან გაუფრთხილებლობა თავისი ბუნებით შეცდომის ნაირსახეობაა, მოცემული კატეგორიების გათვალისწინებით, გაუფრთხილებლობა არის რწმენისა და ძალის შეფასების ჯამი, თუმცა ორივე კომპონენტში შეცდომაა დაშვებული მოქმედის მიერ.

დაგეგმილი ქცევის თეორია არის განპირობებული ქცევის თეორიის გაგრძელება, რომელიც შეიცავს აღქმული ქცევითი კონტროლის საზომს. პირის აღქმული ქცევითი კონტროლი ასახავს მის რწმენას იმ ფაქტორებზე, რამაც შეიძლება შეაფერხოს ან ხელი შეუწყოს ქცევის განხორციელებას. აღქმული ქცევითი კონტროლი არის ადამიანის აღქმა, თუ როგორი ადვილია ან ძნელი ქცევის შესრულება და სწორედ აღქმული ქცევითი კონტროლის შეცდომა არის გაუფრთხილებლობა (თვითიმედოვნება). გაუფრთხილებლობის არსს გამოსახს შემდეგი კომპონენტები: თვითეფექტურობა - ადამიანის რწმენა, რომ მას შეუძლია კონკრეტული ქცევის განხორციელება, ქცევის აღქმული მართვადობა და ქცევის განხორციელების აღქმული სიმარტივე ან სირთულე.

გაუფრთხილებლობის ფსიქოლოგიურ ასპექტებზე საუბრისას მნიშვნელოვანია განწყობის, რწმენის, მიზნის, მოლოდინის, მოტივის/მოტივაციის კომპონენტები.

აქტივობას საფუძვლად უდევს განწყობა, რომელიც ყოველთვის არ გადადის პირდაპირ აქტივობაში, ქცევაში, არამედ აღძრავს ემოციურ განცდას, ემოციას (შიშს). ნორმალური ემოცია ჩვენი ყოველდღიური ქცევის ორგანიზაციის საწყისს წარმოადგენს. მაგრამ არაჩვეულებრივი ინტენსივობის ემოცია გარკვეული ქცევის ზეძლიერ იმპულსს მოიცავს და სწორედ ამის გამო გამორიცხავს მეორე ემოციის აღმოცენების შესაძლებლობას. ამიტომ იგი შეიძლება გადაიქცეს ქცევის არა ორგანიზაციის, არამედ დეზორგანიზაციის საწყისად. სწორედ მსგავსი ემოცია არის გაუფრთხილებლობისას სახეზე, რადგან რწმენის ფაქტორი მაღალია და ამ მოცემულობაში ქცევა დეზორგანიზებულია ემოციის გამო, რის გამოც დგება შედეგი.

მიზანი შესაძლოა განწყობაში ინკორპორირდეს და ცნობიერების წამყვან პლანზე არ ფიგურირებდეს, მაგრამ ამ მიზნის საფუძველზე წარმოქმნილი

მდგომარეობა (მოლოდინი) შესაძლოა იყოს სწორედ ის, რაც პირველ პლანზეა მოცემული. გაუფრთხილებლობის დროს მიზანი მოლოდინშია მოცემული. გაუფრთხილებლობა მოლოდინის შეცდომას წარმოადგენს.

მოტივაცია ადამიანის შინაგანი იდეალური მოქმედებაა, რაც წინ უსწრებს ნებისმიერ პრაქტიკულ მოქმედებას, აზროვნების საშუალებით კანონზომიერად განსაზღვრავს მის შინაარსსა და მიმართულებას. მისი საშუალებით ყალიბდება: მოთხოვნილება, ინტერესი, მიზანი, მოტივი, რწმენა, გადაწყვეტილება, შესაბამისი შინაგანი ცვლილებები და განწყობა, რაც შემდგომ ქცევასა და მის შედეგებში ვლინდება. მოქმედება, რომლის მოტივიც წარმოიშობა მოტივაციის პროცესში, ე.ი. რომელიც მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში მიზანშეწონილად და აუცილებლად იქნა ცნობილი, შესაძლებელია მოტივაციის გამომწვევი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ან მისგან თავის შეკავებას გულისხმობდეს. მოტივაცია ყოველთვის მისი აღმძვრელი მოთხოვნილების დაკმაყოფილების სასარგებლოდ არ მთავრდება, რადგან ამ პროცესში, მისი აღმძვრელი მოთხოვნილების გარდა, სხვა მოთხოვნილებები და სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური ფაქტორებიც მონაწილეობს. მათ შორის ისეთებიც, რომლებიც მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ თავის შეკავებას მოტივაციის აღმძვრელი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაგან. გაუფრთიხლებლობისას კი სწორედ ეს თავის შეკავების კომპონენტი არ გვაქვს სახეზე.

ყოველ კონკრეტულ ვითარებაში ამ და არა სხვა მოქმედების აუცილებლობის შინაგანი რწმენა ნებისმიერი მოქმედების მოტივის არსებითი ნიშანია. მის საფუძველზე მიიღება პრაქტიკული მოქმედების გადაწყვეტილება და ყალიბდება შესაბამისი განწყობა, რითაც მთავრდება მოტივაციის პროცესი. მთელი ამ პროცესის საბოლოო შედეგია მოტივირებული მოქმედების განწყობის ჩამოყალიბება, რაც, თავის მხრივ, გათვალისწინებულ ვითარებაში პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნილებას წარმოშობს და უშუალოდ განიცდის რეალიზაციას გარე სამყაროზე მიმართული მოქმედების სახით. ნებისყოფის აქტი გადაწყვეტილების მიღებაა, ხოლო მიღებული გადაწყვეტილება აუცილებლობით სრულდება, თუ იგი ყველა ფაქტორის წინასწარ გათვალისწინებითა და საქმის ცოდნითაა მიღებული. გადაწყვეტილების შესრულების პროცესში ზოგჯერ შესაძლებელია ისეთი ფაქტორი გამოჩნდეს, რომელიც თავის დროზე სუბიექტის მიერ გათვალისწინებული არ იყო. ასეთ შემთხვევაში სუბიექტი კვლავ უბრუნდება მოტივაციის პროცესს, საჭირო შესწორება შეაქვს მიღებულ გადაწყვეტილებაში ან ტოვებს მას წინანდელ მდგომარეობაში. გაუფრთხილებლობისას კი მოტივაციის პროცესში შესწორების შეტანას მოქმედის მხრიდან ადგილი არ

აქვს, ის წინანდელ მდგომარეობაშია დატოვებული. შესაბამისად, ხდება შეცდომა და დგება საზიანო შედეგი.

რწმენა ნებისმიერი მოქმედების მოტივი, უზენაესი მამოძრავებელი ძალაა. მის გარეშე არ არსებობს მოტივაციის ეტაპი, რაიმე გადაწყვეტილება და მოქმედება. რწმენას თან ახლავს გადაწყვეტილება, როგორც მისი თვისება. ამიტომაც გადაწყვეტილება ერთიანდება რწმენაში, როგორც მოტივში. ამრიგად, მოტივაცია პრობლემურ სიტუაციაში ყოველთვის რაიმე მოთხოვნილების გაცნობიერებით იწყება და გაივლის ინტერესის, მიზნის, მოტივისა და რწმენის ჩამოყალიბების ეტაპებს, მთავრდება სათანადო განწყობით, რაც შემდეგ შესაბამის სიტუაციაში პრაქტიკულად ხორციელდება. რადგან ხსენებული კატეგორიები ერთგვარად ერთიანი ჯაჭვის ნაწილის წარმოადგენენ, რაც ქმედებით და შედეგით სრულდება, შეიძლება ითქვას, რომ გაუფრთხილებლობისას ყველა ზემოხსენებულ კატეგორიაში/კომპონენტში შეცდომა არის დაშვებული.

ბიბლიოგრაფია:

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (2019 წლის 08 მაისის მდგომარეობით);
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (2019 წლის 08 მაისის მდგომარეობით).

სამეცნიერო ლიტერატურა:

1. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2007;
2. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო (მეორე გამოცემა), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2016;
3. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, გამომცმელობა „მერიდიანი“, 2016;
4. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო) ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2016;
5. გამყრელიძე ო. სისხლის სამართლის პრობლემები მე-3 ტომი, გამომცმელობა „მერიდიანი“, თბილისი 2013;
6. გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება (2004 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით) პირველი წიგნი, თბილისი 2005;
7. გოგიჩაიშვილი თ. ზოგადი ფსიქოლოგიის კურსი, თბილისი 2006;
8. დვალიძე, ი., სადისერტაციო ნაშრომი „მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე“, 2007;
9. დონჯაშვილი თ., საქართველოს სიხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი), თბილისი, 2002;

10. ვარძელაშვილი ს., „სასჯელის მიზნები“, სადისერტაციო ნაშრომი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2016;
11. თვაური ლ., დანაშაულებრივ ქმედებათა ფსიქო სამართლებრივი ანალიზი, თბილისი 2018 წელი;
12. კიკნაძე დ. „დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის სისტემური გაგებისთვის, ალმანახი 2000 N13, სისხლის სამართლის და კრიმინოლოგიის პრობლემები, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;
13. მუავანაძე ზ., მინდაძე ო., სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი), ქუთაისის სახელმწიფო უნივერსტეტის გამომცემლობა, ქუთაისი 2005
14. მერაბიშვილი გ., ზოგადი და იურიდიული ფსიქოლოგია, თბილისი 1998;
15. ნადარეიშვილი ვ., დევიაცია, დაძაბულობის თეორიები და წონასწორობის განწყობისეული მოდელი, საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე N1, თბ. 2008;
16. ნადარეიშვილი ვ., მოსადნელი ღირებულების კონცეფცია და განწყობა, სამეცნიერო კრებული „ფსიქოლოგია“, შრომები ტ. XXI, თბ. 2009;
17. ნაჭყებია გ., ქმედების დანაშულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბილისი 2010;
18. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები (ნაწილი პირველი), გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ თბილისი - 1976 წელი;
19. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურო საკითხები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 2013;
20. სურგულაძე ლ., სისხლის სამართალი (დანაშაული), გამომცემლობა „ქრონოგრაფის“ სტამბა, თბილისი, 1997;
21. ტურავა მ,. სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2013;
22. ტყეშელიაძე გ,. ნაჭყებია გ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ. 2004;
23. უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1940;
24. უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, ტ. III-IV;
25. უზნაძე დ., განწყობის ფსიქოლოგია, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, მეოთხე გამოცემა. რედ: შოთა ნადირაშვილი;
26. შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (მეორე გამოცემა), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016;
27. ხუბუა. გ., სამართლის თეორია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2015;

28. Tuck M., Riley D., The Theory of Reasoned Action: A Decision Theory of Crime;
29. Hale J. L., Householder B. J., Greene K. L., The Theory of Reasoned Action.

ინტერნეტ - რესურსი:

1. წიქარიშვილი გ., სამაგისტრო ნაშრომი თემაზე „გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის სისტემა და ცალკეულ ელემენტთა გადანაწილების პრობლემები“, თბილისი 2017;
< http://library.court.ge/upload/89302017-08-11.pdf >

2. „დანაშაულის ცნება და ფსიქოლოგია“;
< http://investigativepsychology.blogspot.com/2015/05/blog-post.html>

3. Lareau F., Ottawa, The Distinction between Conscious Negligence and Recklessness, revised 2 december 2001;
<http://www.lareau-law.ca/article-consciousnegligence.html>

4. Beresford B., Sloper T., Undrestanding the Dynamics of Decision-Making and Choice: A Scoping Study of Key Psychological Theories to Inform The Design and Analysis of the Panel Study, University of New York, January 2008; <http://www.york.ac.uk/inst/spru/pubs/pdf/decisionmaking.pdf >

5. Sartain A. Q., North A.J., Strange J. R., Chapman H. M., PSYCHOLOGY: Understanding Human Behavior, 1958;
<http://ia600302.us.archive.org/20/items/psychologyunders033255mbp/psychologyunders033255mbp.pdf >

6. Armitage C. J., Conner M., Efficecy of the Theory of Planned Behaviour: A meta-analytic review, *British Journal of Social Psychology*, 2001, 40;
<https://pdfs.semanticscholar.org/ab83/87ae29317c651a129efc7a2297bc5f348a95.pdf

7. „ქართველი ექსპერტების კომენტარები უზნაძის შრომებზე“, დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2018; <https://iliauni.edu.ge/uploads/other/43/43528.pdf>

8. Tversky A., Kahneman D., The Framing of Decisions and the Psychology of Choice, Science, New Series, Vol. 211, No. 4481. (Jan.30, 1981); <https://www.uzh.ch/cmsssl/suz/dam/jcr:ffffffff-fad3-547b-ffff-ffffe54d58af/10.18_kahneman_tversky_81.pdf>

9. „აზროვნება და აზროვნების უნარი“; <https://docs.google.com/viewer?a=v&pid=sites&srcid=ZGVmYXVsdGRvbWFpbnxwc3lnZTIwMTF8Z3g6YmI0YTdkOTdmYTEwZTZk>

10. Kantor J.R., A Functional Interprettation of Human Instincts, University of Chicago,1920; <http://www.brocku.ca/MeadProject/Kantor/Kantor_1920_a.html>

11. Ofsti L., supervisor: Anders Gade, DECISION MAKING The Significance of Cognition, Emotion, and Impulsivity, University of Copenhagen Department of Psychology; <http://gade.psy.ku.dk/Specialer/2010LinnSpeciale.pdf>

12. Rapp G. C., Wreckage of Recklessness, Washington University Law Review,Vol. 86, Issue 1, (2008), 168; <http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/walq86&div=6&collection=journals&set_as_cursor=18&men_tab=srchresults&terms=%28difference%20AND%20between%20AND%20recklessness%20AND%20and%20AND%20negligence%29&type=matchall#170>

13. Bandura A., Selective Moral Disengagement in the Exercise of Moral Agency, Journal of Moral Education, Vol. 31, No. 2, 2002; <https://web.stanford.edu/~kcarmel/CC_BehavChange_Course/readings/Additional%20Resources/Bandura/bandura_moraldisengagement.pdf>

14. Bandura A., SOCIAL COGNITIVE THEORY OF MORAL THOUGHT AND ACTION, Stanford University, In W. M. Kurtines& J. L. Gewirtz, (Eds.), handbook of moral behavior and development (Vol. 1); <https://pdfs.semanticscholar.org/88f4/a94e385718f20c72d498f9198fd8c17d3fff.pdf

15. ლომსაძე მ., საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა), გამომცემლობა „უნივერსალი“,თბილისი,2012; <http://www.sjuni.edu.ge/ebiblioteka/images/books/saqartvelos%20sisxlis%20samart.%20zogadi%20naw-lomsaze.pdf>

16. სამართლის ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“; <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2014w-n4.pdf>

17. „ფსიქოლოგია და ფსიქიატრია“; <https://ka.seamonkeyworship.com/282-morality.html>

18. „რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა“; <https://www.geostat.ge/media/21907/danarti-ianvari-2019.pdf>

19. „რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა“. <https://www.geostat.ge/media/21910/danarti-tebervali-2019.pdf >

სასამართლო გადაწყვეტილება

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 13 თებერვლის განაჩენი

დადასტურება ნაშრომის ორიგინალობის შესახებ

აღნიშნული ნაშრომი შესრულებულია ჩემ მიერ. არ გამომიყენებია ლიტერატურა სათანადო მითითებების გარეშე და ვაცნობიერებ, სიყალბის გამოვლენის შემთხვევაში ჩემი შედეგის ბათილად ცნობისა და შესაბამისი პროგრამიდან აღდგენის უფლების გარეშე გარიცხვის რეალობას.

თარიღი:

ხელმოწერა: